სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 20 მაისი 2006 №113 (2735) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იტყვის გერმანელი, ვიცით: MEIN GOTT!

რას იტყვის ქართველი, ვერ ვიტყვით

ჰაინც ტოპმიოლერის დებიუტი გულდამთუთქავი გამოდგა — მისმა გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ სლოვაკურ დუბნიცაში, ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპზე თურქ თანატოლებთან 0:6 წააგო. წუხელ სლოვაკეთში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს შევეხმიანეთ, ვისგანაც, აი, ეს შევიტყვეთ:

... თურქებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და შეიძლება ითქვას, ანგარიში ზუსტად ასახავს მათ უპირატესობას. ჩვენები მეორე ტაიმის დასაწყისში უკეთესად ათამაშდნენ, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მერე თურქებმა კონტრშეტევაზე გაიტანეს მესამე გოლი და, ფაქტობრივად, ყველაფერი იქ დამთავრდა.

... საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა უკვე გაარჩია მატჩის ფირი და ახლა ფეხბურთელები შეიყვანეს კრებაზე.

... მატჩს თურქეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ფათიჰ თერიმი დაესწრო და თქვა, კარგი თაობა მოგვდის და 19-წლამდელთა გუნდიდან სამ-ოთხ ფეხბურთელს ალბათ წავიყვან უახლოეს სანაკრებო შეკრებაზეო.

დავით თავართქილაძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ჩიხრაძის ფსიქო

თასში ათასი საფიქრალი ეტევა

4

წაგებულთა სათასო შანსი

ვისთვის გატკბილდება კენწეროში?

ფურცელაძეების ფოტო

დღეს ვერი ბაღში მე-15 საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური სერიის მეხუთე და გადამწყვეტი მატჩია. აქეთ „ავიამშენი“, რომელიც ფინალს 2:0 იგებდა და რუსთავში მიყოლებით ორჯერ უიმედოდ წააგო, იქით კი რუსთავის „აზოტი“, რომელიც ანგარიშის ასე იოლად გათანაბრების შემდეგ ფრთაშესხმული გავა გადამწყვეტ ჯახში. ამ ორში ვინც უნდა მოიგოს, ქვეყანას ახალი ჩემპიონი ეყოლება. ფინალში დამარცხების სიმწარე ორივე მხარეს განცდილი აქვს, აი, გამარჯვების სიტკბო კი დღეს მხოლოდ ერთს შეხვდება.

ტიერი ანრი და ანდრეი შევჩენკო: მიირთვით ჩაილურის წყალი!



ანრი „არსენალიდან“ მიდის, შევჩენკო „მილანიდან“ მიდის... გუშინ ჭორაობას ორივემ ბოლო მოუღო. არც ერთი მიდის და არც მეორე. ორივე თავ-თავის კლუბში რჩება. ტიერი ანრიმ, ვისაც „ბარსელონაში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან, ხოლო ანდრეი შევჩენკო „მილანში“ 2011 წლამდე დარჩება და სეზონში 6 მილიონ ევროს მიიღებს. აქამდე უკრაინელის ხელფასი 5 მილიონ 200 ათასი ევრო იყო.

ასე რომ, რომან აბრამოვიჩი შევჩენკოს „ჩელსის“ მაისურას ვეღარ ჩააცმევს. „ბარსელონას“ პრეზიდენტი ლაპორტაც ანრის გარეშე დარჩა.

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპი
სლოვაკეთი. 19-23 მაისი

ესეც დებიუტი: ჰაინცმა კლაუსს ერთი ბურთით აჯობა

სგფ-ის პრესსამსახური

თურქული სირცხვილი

დუბნიცა. 19 მაისი. 13 საათი. მესტსკი. 500 მაყურებელი

საქართველო 0:6 თურქეთი

0:1 პარლაკი (3), 0:2 ერკინი (28), 0:3 იოზქანი (63), 0:4 თურანი (67), 0:5 გიურსოი (82), 0:6 პარლაკი (86)

საქართველო	თურქეთი
რევიშვილი, თომაშვილი, ხიდეშელი, ბენაშვილი, განუგრავა, ა. კობახიძე, ბუალავა, ჩირიკაშვილი (ბ. გოცირიძე 57), ხოხონიშვილი, კახელიშვილი, წინამძღვრიშვილი	ბაბაჯანი, კურტულუსი, იოზთორუნი, კარამანი, იოზქანი, თურანი (გიურსოი 75), კაჩრამანი, პარლაკი, ერკინი, ერდინნი (გიუვენი 61), ატაში
სათადარიგონი: თევდორაძე, გვაძაბია, კვანტალიანი, მილაშვილი, ვ. კვარაცხელია	სათადარიგონი: ბოიდაკი; აკსუ, გიულტეკინი, ილმაზი, სეფეფი
მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი	მწვრთნელი: ჯემ ჰამიროლუ

გაფრთხილება: წინამძღვრიშვილი (34), კახელიშვილი (38), ატაში (60)

მსაჯი: ჯ. ჩირკეტა (შვეიცარია)

ცუდად დაებედათ ძმებ ტოპმიოლერებს საქართველოს ნაკრებში დებიუტები. ჰერ კლაუსი იყო და, მალტის ტურნირზე მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან 1:5 წააგო, ახლა კი მას უფროსმა ძმამ „მოუჯოკრა“: ჰაინც ტოპმიოლერის 19-წლამდელთა ნაკრები თურქ თანატოლებთან 0:6 შერცხვა.

რა დავარქვათ ამას, დამთხვევა, გუნდის შეუთამაშებლობა თუ უკლასობა? ალბათ, ბოლო ორი — დამთხვევების და მისტიკის დრო არაა.

„მშვენივრად ვართ მომზადებულნი. ახლა ისღა დაგვრჩენია, გავიდეთ მინდორზე და ყველა თამაშში მოსაგებად ვიბრძოლოთ. პირველ ადგილზე გასვლა გვინდა“ — ამბობდა ჰაინც ტოპმიოლერი ამ მატჩამდე და მართალია, პირველობის ყველა შანსი ჯერ არ დაკარგულა, მაგრამ 0:6 წაგების მერე რა და როგორ უნდა დაიჯერო?!

თურქებმა უკვე მე-3 წუთზე გახსნეს ანგარიში: ჯანერ ერკინის ჩაწოდებულს ილჰან პარლაკმა თავური მიაყოლა და 0:1.

ამის შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდს თუ ვერწმუნებით, ქართველებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ — ირაკლი ჩირიკაშვილს, რატი წინამძღვრიშვილსა და კაპიტან გიორგი განუგრავას მიჯრით ოთხჯერ დაურტყამთ კარში, მაგრამ დადგა 28-ე წუთი და თურქებმა ისევ გაიხარეს: არდა თურანის ჩაკიდებულს ჯანერ ერკინმა მახვილი კუთხიდან ურქინა — 2:0.

მეტოქე იშვიათად ახორციელებდა შეტევებს და თამაშის სცენარით, ქართველები გოლს აშკარად იმსახურებდნენ — დაახლოებით ამგვარს იტყობინება ფედერაციის ვებგვერდი, თუმცა 0:6-ის ფონზე ეს ყველაფერი უცნაურად გვეჩვენება.

57-ე წუთზე ჰაინც ტოპმიოლერმა მესამე თავდამსხმელი, ზესტაფონელი ბექა გოცირიძე მიახმარა წინამძღვრიშვილს და გიორგი კახელიშვილს; ალექსი ბენაშვილი დაცვაში დაწია, ხოლო მირზა ბუალავა საყრდენი ნახევარმცველი გახდა.

არაფერმა არ გაამართლა და თურქებმა ქართველებს გოლების წვიმა დააყარეს: 63-ე წუთზე ცენტრში განუგრავას დაკარგული ბურთი სერდარ იოზქანმა მოიხელთა და შორიდან გასროლილით 0:3 გახადა; 67-ე წუთზე არდა თურანმა თავისიანთა კომბინაცია დააბოლოვა მეოთხე გოლით; ორი თურქი ქართველთა მეკარე ნუკრი რევიშვილს პირისპირ შეეყარა და გურჰან გიურსოიმ 0:5 დააფიქსირა; 86-ე წუთზე კი პარლაკმა ჩვენი მცველების შეცდომით ისარგებლა და 0:6!

...ასე განადგურდა ჰაინც ტოპმიოლერის ნაკრები ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ელიტრაუნდის პირველ ტურში — წინ კი სლოვაკეთთან და ირლანდიასთან შეხვედრებია. თურქებთან თამაშის თვითმხილველები ნაღდად არ ვართ, მაგრამ ანგარიშიდან გამომდინარე ფინალურ ეტაპზე გასვლის იმედი არც უნდა გვქონდეს.

მარცხის გამართლების ერთადერთი არგუმენტი (თუ ეს არგუმენტია) ისაა, რომ ჰერ ჰაინცისთვის ეს პირველი მატჩი იყო 19-წლამდელთა ნაკრებში — მანამდე მას ერთ ტესტ-მატჩშიც არ მისცემია ბიჭების გამოცდის შანსი.

ილია ნანობაყვილი

ჯელაძე იქ გადავიდა, საიდანაც გაფრინდა

გიზო ჯელაძე

პირველი სატრანსფერო სიახლე თბილისის „ამერში“: ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ახალი სეზონიდან ყვითელ მაისურას მოირგებს 31 წლის ფლანგელი ნახევარმცველი გიზო ჯელაძე — ფეხბურთელი და კლუბის ხელმძღვანელობა ამაზე უკვე შეთანხმდნენ.

გიზო ჯელაძე წინა სეზონში „ბათუმში“ თამაშობდა, იქამდე კი სწორედ „ამერში“ იყო. ის „ყვითლებთან“ ერთად პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადავიდა და მერე კარიერა „ბათუმში“ გააგრძელა, სადაც იჯარით იყო განათხოვრებული. ჯელაძემ „ამერში“ 23 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დატოვებს საქართველოს თასის მფლობელებს. ის კი შევიტყვეთ, რომ რამდენიმე ფეხბურთელს „ყვითლებთან“ კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა და ხელმძღვანელობა ზოგიერთთან დამშვიდობებასაც აპირებს. კლუბიდან წასულთა ვინაობა, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში გაირკვევა.

კოგა ინასარიძე

13 მაისი, 189-ე, ფეხბურთი და ქველმოქმედება

13 მაისი ქართული ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა და ამის აღსანიშნავად ბავშვთა საფეხბურთო ტურნირიც ჩატარდა თბილისის თექვსმეტ საშუალო სკოლას შორის. ტურნირში მე-8-მე-11 კლასების მოსწავლეები თამაშობდნენ და გენერალური სპონსორი „კოკა-კოლა“, სპონსორი კი „პროკრედიტბანკი“ იყო.

ჩემპიონი პირველი ექსპერიმენტული სკოლის (189-ე) გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში 166-ე სკოლას 5:0 მოუგო. მანამდე კი ჩემპიონებმა 55-ე სკოლას 5:3, 161-ეს 4:1 და 51-ეს 9:0 სძლიეს.

189-ე სკოლის გუნდმა „კოკა-კოლასგან“ სპეციალური პრიზი, ფართოეკრანიანი ტელევიზორი მიიღო, ხოლო ფინალისტი გუნდი მუსიკალური ცენტრით დაასაჩუქრეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს, 189-ე სკოლელ არჩილ შადურს მობილური ტელეფონი უსახსოვრეს.

სხვათა შორის, ტურნირის ჩემპიონებმა მოგებული ტელევიზორი ძეგვის ბავშვთა სახლს გადასცეს — ესეც ლამაზი ჟესტი...

ლუკა თალაკვაძე

სლოვაკეთმა ირლანდიას აუგუსტინით ესროლა

საქართველო — თურქეთის 19-წლამდელთა ნაკრებების მატჩის პარალელურად, 3 000 მაყურებლის თვალწინ სლოვაკეთის ნაკრებმა ირლანდიას 3:2 მოუგო და პირველი ტურის შემდეგ ჯგუფში თურქეთთან ერთად გალიდერდა. ევროშესარჩევი ციკლის მეორე ეტაპის მასპინძლები ბრიტანელებს ორჯერ უგებდნენ, ორჯერვე გაუთანაბრეს და გადამწყვეტი ბურთი თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე შეაგდეს. 21 მაისს, ანუ ხვალ ქართველი 19-წლამდელები, მეორე ტურში სწორედ სლოვაკებს ეთამაშებიან.

სლოვაკეთი 3:2 ირლანდია

1:0 დუბეკი (7), 1:1 ნოლანი (15ჯ), 2:1 კუზმა (35), 2:2 სტოკსი (61), 3:2 აუგუსტინი (75)

თურქეთი	1	1	0	0	6:0	3
სლოვაკეთი	1	1	0	0	3:2	3
ირლანდია	1	0	0	1	2:3	0
საქართველო	1	0	0	1	0:6	0

21 მაისი
სენეკი
ირლანდია — თურქეთი
პარტიზანსკე
სლოვაკეთი — საქართველო

23 მაისი
სენეკი
საქართველო — ირლანდია
ტრნავა
სლოვაკეთი — თურქეთი

შეგახსენებთ, ყველა მატჩი თბილისის დროით 13 საათზე იწყება.

ილია ნანობაყვილი

ავსტრია
I დივიზიონი. XXXV ტური

ალტახი 1:0 აუსტრია (ლ)
აუსტრია (ბ) 0:1 ლინცერი
კაპფენბერგი 1:2 გრატკორნი
კუფშტაინი 1:5 კერნტენი
შვანენშტადტი 1:2 ლეობენი

ირლანდია
პრემიერდივიზიონი
XI ტური

დროჰედა 4:0 უოტერფორდი
ფელბურნი 2:0 ბოჰემიანსი

ისლანდია
პრემიერდივიზიონი
II ტური

ფილკირი 2:1 გრინდავიკი
კეფლავიკი 2:1 ვიკინგური

ამხანაგური მატჩი
ახალგაზრდულები (U-21)

შოტლანდია 1:1 თურქეთი

ჩეხეთი
თასის ფინალი

სპარტა 0:0(პენ.4:2) ბანიკი

უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXVIII ტური

დიოშდიორი 5:2 კაპოშვარი

რუმინეთი
A დივიზიონი
XXVIII ტური

გლორია 1:0 ფარული
ვასლუი 1:1 პოლიტეხნიკა

ტულონის საერთაშორისო ტურნირი
20-წლამდელები

B ჯგუფი
II ტური

არგენტინა 2:0 ჩეხეთი
პორტუგალია 0:0 ჩინეთი

მექსიკა
კლაუსურა
ფინალი
პირველი მატჩი

სან ლუისი 0:0 პაჩუკა

რევაზ გეწაძე ბორჯომს ეცლება

კურორტი და ჩემპიონატი არგენტინელების გარეშე

გადრი კეთილაძის ფოტო

რევაზ გეწაძეს „ბორჯომში“ სუპერსეზონი არ ჩაუტარებია, მაგრამ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ნაღდად გახლდათ და სულაც არაა გასაკვირი, უფრო ძლიერ კლუბში სურდეს გადასვლა. გეწაძემ გვითხრა, რამდენიმე წინადადება მაქვს, მაგრამ გადაწყვეტილი არაფერია — მთავარია, მალე გადავიდე ახალ გუნდში, რათა წინასასეზონო შეკრებები გავიაროო.

„ორწლიანი კონტრაქტი მაქვს „ბორჯომთან“, მაგრამ ჩათვალეთ, რომ იქიდან წამოსული ვარ. უცხოეთში არა მგონია, ალბათ, რომელიმე ძლიერ ქართულ კლუბს მოვნახავ. „ბორჯომი“ ნორმალური გუნდი იყო, მაგრამ ახლა შესაძლოა, საერთოდაც ვერ იარსებოს ან თუ იარსებებს, იმ დონისა აღარ იყოს“.

გეწაძე უკვე სამი წელია, უმაღლეს ლიგაში თამაშობს, მთლად გამოუცდელიც არ ეთქმის და საინტერესოა მისი აზრი, წინა სეზონებთან შედარებით ჩემპიონატის დონე ამაღლდა თუ დაეცა. „თავის მოტყუება იქნება, რომ ვთქვა, დონემ აიწიაო. მე ვერ გავიარე წინასასეზონო შეკრებები და მეგონა, ძალიან ცუდად ვითამაშებდი ჩემპიონატში, მაგრამ მაინცდამაინც არ გამჭირვებია. წინა სეზონებში უფრო ვგრძნობდი სირთულეებს“.

მეორე წრეში „ბორჯომის“ გამორჩეული მოთამაშე არგენტინელი ფორვარდი გონსალო დე პორასი გახლდათ, რომელზეც გეწაძემ გვითხრა, მასთან თამაში ერთი სიამოვნებააო. „გონსალო მართლაც გამორჩეული ფეხბურთელია, ის აშკარად უძლიერესი იყო ჩვენს ჩემპიონატში. ვიცი, რომ მისი შეძენა „დინამოს“, „ამერსა“ და „სიონს“ უნდოდათ, მაგრამ საქართველოში არ დარჩა. გონსალო და მეორე არგენტინელი დარიო სებალეც სამშობლოში დაბრუნდნენ“.

ილია ნანოგაფვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
ფიფიდინერის
სეზონის
ფეხბურთის ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

გიორგი ჩიხრაძის ფსიქო

არა მხოლოდ სიხარული: თასში ათასი საფიქრალი ეტევა

გადრი ჯიმილაძის ფოტო

თბილისის „ამერის“ თავკაცი გიორგი ჩიხრაძე სადღეისოდ ერთადერთი ქართველია, ვისაც საქართველოს თასი ფეხბურთელსაც მოუგია და მწვრთნელსაც. მას თასი დონეცკის „შახტარში“ ყოფნისასაც აუწევია და საქართველოში დაბრუნებულს ასეთი წარმატებით თბილისის „ლოკომოტივშიც“ გაუხარია.

ჩიხრაძის ამერული თასიდან კი თითქმის ერთი კვირა გავიდა და, რომ გვეგონა, „ამერის“ თავკაცი ახლა მაინც მოიცლიდა, ისე გამოვიდა, ახლაც არანაკლებ დაკავებული ყოფილა — უკვე მომავალ სეზონზე ფიქრობს. თუმცა ეს ერთი კვირა მაინც საჩვენოდ გამოვიყენეთ, ზეიმის შემდეგ ხომ ემოციები ჩაცხრა, გონება გაციცდა და „ამერის“ თავკაცთან მშვიდად საუბრის საშუალება მოგვეცა...

„ცხადია, თასის მოპოვების შემდეგ ძალიან გახარებული ვარ, თუმცა ეიფორიას არ მივცემივარ. სასიამოვნოა, რომ როგორც მწვრთნელმა კარიერაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი. გუნდმა საეტაპო გამარჯვებას მიაღწია, ახლა კი ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების მომდევნო ეტაპი იწყება და სერიოზულად მომზადება გვმართებს“ — დაიწყო ჩიხრაძემ და მერე უკვე ზოგადად „ამერზე“, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონის ავანჩავანზე ჩამოვაგდეთ სიტყვა...

„ეს სეზონი ჩემთვისაც და „ამერისთვისაც“ გამოცდილებისა იყო. გუნდში ნაცად ფეხბურთელებთან ერთად ბევრი ახალგაზრდაა, წლეულს მათ უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდათ და ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ასაკთა, ანუ გამოცდილებისა და ახალგაზრდული ენერგიის სინთეზი. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო სასელექციო სამუშაო, ის, თუ როგორ გაგვეზარდა ახალგაზრდების მოტივაცია და კიდევ, ძალიან ბევრი დეტალითაც საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლდათ ეს სეზონი. ახლა კი შემიძლია ვთქვა, რომ ის მიზანი, რაც გუნდმა ჩემპიონატის დასაწყისში დაისახა, არარეალური სულაც არ ყოფილა. მიხარია, რომ „ამერმა“ მტკიცე ხასიათი გამოაჩინა და სეზონი კარგად ჩაამთავრა, თავად კი, როგორც ვთქვი, გამოცდილება მივიღე“.

ამ სეზონამდე გიორგი ჩიხრაძეს სამწვრთნელო საქმის სულ წელიწადნახევრიანი გამოცდილება ჰქონდა. ფეხბურთელის კარიერა ჩიხრაძემ სწორედ „ამერში“, სწორედ მისი ახლანდელი შეგირდების გვერდით დაამთავრა და მოედნიდან პირდაპირ მწვრთნელის სკამზე გადაინაცვლა.

„როცა „ამერში“ ვთამაშობდი, მაშინაც ვცდილობდი ბიჭებისთვის ჩემი გამოცდილების გაზიარება და ივივეს ვაკეთებ ახლაც. ფეხბურთელებთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ მაქვს, საქმის შემდეგ მათთან ისეთივე მეგობრული ვარ, როგორიც ფეხბურთელობისას ვიყავი“.

საქმეში როგორია გიორგი ჩიხრაძე? მშვიდი, გაწონასწორებული, აზარტული და... თუმცა ათასში ერთხელ აღშფოთებულიც გვინახავს...

„თუ გავბრაზდები, მხოლოდ საკუთარ თავზე. თუ ჩემი გუნდი ისე ვერ თამაშობს, როგორც მსურს, პირველ ყოვლისა, გიორგი ჩიხრაძეს ვადანაშაულებ და არც მსაჯს, არც მეტოქეს თუ სხვა გარეშე ფაქტორებს. თუმცა მოთმინებას ვკარგავ და მდგომარეობიდან მაშინ გამოვდივარ, როცა ვხედავ, რომ რომელიმე ამერელი მოედანზე იმას არ აკეთებს, რაც შეუძლია, დავალებას შეგნებულად არ ასრულებს. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ყოფილა. თუმცა, საბედნიეროდ, ბევრი არა. ჩიხრაძე „ამერის“ ფეხბურთელებს ენდობა და მსურს, ისინიც ენდობოდნენ. მინდა, ისინი პროფესიონალები იყვნენ.“

კლუბის დევიზია — „ძალა და ღირსება“. ამ საუბარ-საუბარში კი, არა მგონია, გიორგი ჩიხრაძეს ეს სიტყვები შემთხვევით ეხსენებინოს, ერთი კვირის წინანდელი ფინალი გავიხსენეთ და...

„რა თქმა უნდა, ამ სეზონში ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი 13 მაისის ფინალური მატჩი იყო. ჩვენ ძალიან გვინდოდა მოგება და მოვიგეთ კიდეც. ჩემპიონატის მეორე წრეში „ამერს“ გარკვეული პრობლემები შეექმნა. ფეხბურთელების ტრავმიანობის თუ ავადმყოფობის გამო ჩავარდნა გვქონდა, რის შემდეგაც კონცენტრაცია თასის გათამაშებაზე მოვახდინეთ. მიხარია, რომ ბიჭებმა ფსიქოლოგიური პრობლემები დაძლიეს და ავერ, შრომაც დაუფასდათ. თანაც, წარმოიდგინეთ, ჩვენი გუნდი ფინალში ორჯერ იგებდა, მეტოქემ ორჯერ გაათანაბრა, მეორედ სულაც ბოლო წუთზე. ფეხბურთელები კი მაინც არ გატყდნენ, ძალა მოიკრიბეს და ფინალიც ღირსეულად მოიგეს.“

და რა იყო „ზესტაფონთან“ მატჩამდე, შესვენებისას და 90 წუთის შემდეგ? გიორგი ჩიხრაძე 13 მაისს ასე იხსენებს... თუმცა 13 მაისამდე „ამერსა“ და მის მწვრთნელს მთელი ათი დღე ჰქონდათ...

„მატჩამდე, ბუნებრივია, „ზესტაფონის“ მატჩების ფირები გავცვითეთ, მეტოქის თამაშის მანერა, პლუს-მინუსები დაწვრილებით შევისწავლეთ. კარგად ჩანდა, რომ მცველები ზოგჯერ კონცენტრაციას კარგავდნენ, უფრო ხშირად ეს ტაიმების დასაწყისში ემართებოდათ. გავითვალისწინეთ ისიც, რომ მეტოქე ფლანგური შეტევებისას ძლიან სახიფათოა და კარის სიახლოვეს ზურაბ იონანიძის უყურადღებოდ დატოვება დამღუპველი იქნებოდა. სათამაშო სქემად 4-5-1 ვარჩიეთ. თავდასხმის ხარჯზე შუა ხაზი გავაძლიერეთ, ნახევარდაცვა გავშალეთ და ფლანგებზე უპირატესობის მიღება ჩავიფიქრეთ. მატჩის წინ კი გასახდელში ბიჭებს ვუთხარი, ეს თამაში ნერვების თამაშიც არის, მაგრამ ნერვები მაქსიმალურად მოთოკეთ, მეტოქე დაცვაში აუცილებლად შეცდება და ეს უნდა გამოიყენოთ-მეთქი.

...მართალია, შესვენებამდე „ზესტაფონმა“ ანგარიში გაგვითანაბრა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, თამაშის განახლებისთანავე საგოლე შანსები კიდევ გვექნებოდა. ბიჭები დავამშვიდე, სანერვიულო არაფერი გაქვთ, ყველაფერი კარგად არის-მეთქი. ის ფირი გავახსენე, რომელიც გუნდს სასტუმროში, სტადიონზე წასვლამდე ჩავურთე. „სევილიას“ სიხარული, „მიდლსბროს“ მწუხარება და გუნდს ორი სიტყვა ვუთხარი: ახლა თქვენზეა, სალამოს „სევილიასავით“ გაიხარებთ თუ „მიდლსბროსავით“ თავჩაქინდრულები იქნებით-მეთქი.

...ფინალში დამატებითი დრო თავადაც მითამაშია და პენალტებამდეც მივსულვარ. ვიცი, ამ დროს ფეხბურთელებისთვის გამხნევება, მხარდაჭერა, შეძახილს როგორი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, როცა გოლს ბოლო წუთზე მიიღებ. რა თქმა უნდა, ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ვცდილობდი, სახეზე არაფერი შემტყობოდა. ვიღიმებოდი და ბიჭებს ვამშვიდებდი. ფეხბურთელებს ჩემთვის დაძაბულობა არ უნდა შეეტყოთ, მგონი, ეს მოვახერხე კიდეც. თანაც ჩემებს მეტოქე ფეხბურთელებისკენ ვუთითებდი ხოლმე, ისინი ძალიან ნერვიულობენ და თქვენ ამ თამაშს მოიგებთ-მეთქი. ასეთი მატჩებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ განტვირთვას. ამიტომ იყო, ფინალის წინა დღეს მთელი გუნდი შიომღვიმის მონასტერში რომ ვიყავით და სულიერი სიმშვიდე მივიღეთ. თამაშის დილას კი სვეტიცხოველში ვილოცეთ. ვცდილობდი, ფეხბურთელებისთვის თამაშისწინა სტრესი მომეხსნა და მათთვის დაძაბულობა და ყოველნაირი ფორიაქი დამევწყებინა.“

ჩიხრაძემ „ბოლო წუთზე მიღებული გოლი“ ორჯერ ახსენა. ალბათ არც ეს იყო ჰაერზე ნათქვამი, „ამერს“ წლეულს ბოლო წუთებზე მართლაც ფატალურად არ უმართლებდა. თუმცა ფინალში გაუმართლა — „ზესტაფონმა“ გამთანაბრებელი გაუტანა, ხოლო ჩემპიონატში „სიონმა“, „ცხინვალმა“, იგივე „ზესტაფონმა“ და „ბათუმმა“ „ამერს“ სწორედ ბოლო ან ბოლო სამ-ოთხ წუთში გატანილებით აჯობეს...

„ესაც გამოცდილების საქმეა და უმაღლესი ლიგა ჩვენთვის ამითაც საინტერესო იყო. პირველ ლიგაში გამოცდილი ფეხბურთელების ხარჯზე „ამერმა“ თამაში ბოლო წუთებზე რამდენჯერმე შემოატრიალა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ეს ველარ შევძელით. ვეცდებით, წლევანდელი შეცდომები მომავალ სეზონში გამოვასწოროთ. ესეც ჩვენი ნაკლია და კიდევ, საგოლე მომენტების გამოუყენებლობა. იმედია, მომდევნო ჩემპიონატის კალენდარი თამაშიდან თამაშამდე მეტ სამუშაო დროს მოგვცემს და პარალელურად „წავშლით“ ამ მინუსებსაც.“

საუმაღლესლიგო დებიუტსა და გამოცდილებაზე გიორგი ჩიხრაძესთან კიდევ დიდხანს ვისაუბრე და ერთ კითხვაზე მისმა პასუხმაც დამაინტერესა...

„ძალიან მნიშვნელოვანია სასელექციო სამუშაოც, წლეულს უმაღლესმა ლიგამ ამგვარი გამოცდილებაც შეგვძინა. თუ ესა თუ ის ფეხბურთელი სხვა გუნდში დიდ ძალას წარმოადგენს და იქ წარმატებით თამაშობს, სულაც არ ნიშნავს, რომ ის ახალ გუნდშიც ლიდერი იქნება. შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს, სადაც ჩაკარგული იყოს, ახალ გუნდში კი შესაძლებლობები ბოლომდე წარმოაჩინოს და მეტად სასარგებლო გახდეს“.

ბევრია „ამერში“ ასეთი ფეხბურთელი? — ვკითხე მწვრთნელს.

„ორივე კატეგორიის ფეხბურთელები არიან „ამერში“, თუმცა გვარებს არ გეტყვით“ — იყო მოკლე პასუხი.

ამ სეზონში „ამერის“ ბევრი მატჩი ვნახე და ასეთი აზრი ჩამოყალიბდა: გიორგი ჩიხრაძე ერთი სამწვრთნელო, ასე ვთქვათ, დაუწერელი კანონის დიდი მიმდევარი არ უნდა იყოს. მოგებული შემადგენლობა არ იცვლება — ბევრი სახელოვანი მწვრთნელისგან ასეთი მოსაზრება ათასჯერ გვსმენია და, როცა ჩიხრაძემ სწორედაც რომ მოგებული შემადგენლობა რამდენჯერმე შეცვალა, ეს ამ საუბრისას გავახსენე...

„არა, ასეთ პრინციპს არ ვიზიარებ. რა თქმა უნდა, სტაბილური შემადგენლობით თამაშის მიმდევარი ვარ და არ მჩვევია, ფეხბურთელი მცირე ჩავარდნის გამო ძირითადი შემადგენლობიდან ამოვაგდო. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, სხვადასხვა მოსაზრების გამო მოგებული შემადგენლობა შემიცვლია და მომდევნო მატჩიც ჩვენ სასარგებლოდ დაგვიმთავრებია“.

ცოტა ხანში „ამერს“ საერთაშორისო დებიუტი ელის. გიორგი ჩიხრაძესაც მორიგი და ალბათ უყრო ძნელი გამოცდა ევროპაში ელება. გუნდს კი, რა თქმა უნდა, გაძლიერება სჭირდება. „ამერის“ მწვრთნელიც მოკლედ გვპასუხობს და გვთანხმება, შემადგენლობაში ცვლილებები იქნება, ოღონდ მნიშვნელოვანი არაო.

და კიდევ, ვის უქომაგებს მოახლოებულ მუნდიალზე გიორგი ჩიხრაძე? პასუხი, ცოტა არ იყოს, გასაკვირია...

„არავის. მწვრთნელი ვარ და, რომელიმე გუნდს რომ ვუქომაგო, მატჩის ობიექტურად შეფასების უნარი არ მექნება. თუმცა, ცხადია, როცა ამას ვამბობ, საქართველოს ნაკრებს არ ვგულისხმობ“.

არჩევაზე რომ იყოს, რომელი გუნდის თამაშს ნახავდით-მეთქი, არ მოვეშვი და მაშინ კი თქვა:

„ბრაზილიის ნაკრების თამაშს ვნახავდი“.

ჩემთვის ესეც გასაკვირი იყო, მგონა, იტყოდა — გერმანიის თამაშსო. თავად ჩიხრაძეც ხომ დაახლოებით გერმანული სტილის ფეხბურთელი იყო და ხისტი თამაში არც „ამერისთვისაა“ უცხო...

„ერთია, ფეხბურთის თამაში რაღაც წარმოიდგენია და მეორე, როგორ თამაშობ“.

ჯერჯერობით „ამერი“ კარგად თამაშობს...

კოგა ინასარიძე

ტოპმიოლერმა საბოლოო თქვა

ევროპაში ძველი 26 მიდის

საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა საბოლოო სიტყვა თქვა და გერმანიაში და ავსტრიაში დაგეგმილი ამხანაგური მატჩებისთვის ისევ ის 26-კაციანი შემადგენლობა მიჰყავს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა.

მაშ ასე, ტოპმიოლერის სია ასეთია:

მეკარეები

ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გიორგი ლომაია (ლუჩ-ენერგია, რუსეთი);

მცველები

ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), კახა მჟავანაძე (ჩერნომორეცი, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ლევან მაღრაძე (ქსანთი, საბერძნეთი), ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, რუსეთი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია);

ნახევარმცველები

დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია), გოგა გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), გოგიტა გოგუა (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), კახა ალადაშვილი (დინამო, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი);

თავდამსხმელები

შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა), ვასილ გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა).

საქართველოს ნაკრები 24 მაისს კიოლნში შეიკრიბება და მზადებას იმავე დღეს 60 კილომეტრით დაშორებულ ალტენკირხენში დაიწყებს. 27 მაისს სწორედ ალტენკირხენში, 17 საათზეა დანიშნული ახალ ზელანდიასთან მატჩიც. ჩვენები ავსტრიულ დორნბირნში თამაშის მეორე დღესვე გადაინაცვლებენ და იქ მოემზადებიან 31 მაისს პარაგვაისთან შეხვედრისთვის, რომელიც შუაევროპული დროით საღამოს შვიდის ნახევარზე დაიწყება.

გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის არის რამდენიმე ტრავმირებული, კერძოდ, ლევან ცქიტიშვილი, ლაშა სალუქვაძე და ზაალ ელიავა, მაგრამ მწვრთნელის თხოვნით ისინი მაინც გუნდთან ერთად იქნებიან. ამ შემადგენლობას კი ალბათ მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი მათე ღვინიანიძეც დაემატება.

ლუკა თალაკვაძე

ბალაბან ტოლორაიას ფოტო

საქართველოს 17 ჩემპიონატი მიმოხილვა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა

ალექსანდრე ცარგასი ფოტო

სიმბოლურის მოკლე შინაარსი

აწ დასრულებული მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის ყოველი ტურის შემდეგ „სარბიელი“ ტურის სიმბოლურ ნაკრებს ადგენდა.

ყველაზე მეტჯერ (9-ჯერ) სიმბოლურ ნაკრებში „ამერის“ ცენტრალური მცველი ვახტანგ ხვადაგიანი მოხვდა. 7-7-ჯერ იყვნენ დავით ბოლქვაძე („სიონი“/„ამერი“), ზურაბ იონანიძე („ზესტაფონი“) და დავით იმედაშვილი („ვიტ ჯორჯია“).

ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებსაც იმის მიხედვით ვადგენდით, თუ ვინ რამდენჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურში. ისეც იყო, როცა ერთი და ივივე ამპლუის რამდენიმე ფეხბურთელს ტურის სიმბოლურში მოხვედრის თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ და ასეთ შემთხვევაში უპირატესობა იმას მივანიჭეთ, ვისმა გუნდმაც უფრო მაღალი ადგილი დაიკავა ჩემპიონატში.

გთავაზობთ იმ ფეხბურთელების მოკლე დახასიათებას, მე-17 ეროვნულის სარბიელისეულ სიმბოლურ ნაკრებში რომ მოხვდნენ...

გრიგოლ ჭანტურია

პირველ წრეში „ლოკომოტივში“ შთამბეჭდავად ითამაშა და ამიტომაც მიიწვია „ზესტაფონმა“. ჭანტურია გაზაფხულზეც კარგად იცავდა კარს, კლაუს ტოპმიოლერმა ის 26 მარტს ალბანეთთან ამხანაგურ მატჩშიც ათამაშა — გრიგოლმა ტირანაში ერთი „მკვდარი ბურთი“ აიღო და კარი მშრალად შეინახა. თუმც ტოპმიოლერმა ის 27 და 31 მაისს ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის აღარ გამოიძახა.

გიორგი სეთურიძე

პირველი წრის შემდეგ სეთურიძე „ლოკომოტივიდან“ თითქოს „დინამოში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ „დინამოს“ ეძვირა. სეთურიძემ კარგად წარმოაჩინა თავი „ბათუმშიც“ და ახალგაზრდული ნაკრების თავკაც რალფ მინგეს ნდობაც დაიმსახურა.

სეთურიძეს დაცვის ცენტრში და ნახევარდაცვის ფლანგზეც შეუძლია თამაში.

ვახტანგ ხვადაგიანი

სტაბილურობის განსახიერება იყო. რომ არა ხვადაგიანი, „ამერის“ დაცვას პრობლემები ძალიან მოუმრავლდებოდა. ხვადაგიანი ტანმაღალი მცველია, მაგრამ მხოლოდ მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში როდი ჩაუქობს.

დავით იმედაშვილი

პირველი წრის შემდეგ „ვიტ ჯორჯიადან“ ფორვარდი ოთარ მაცვალაძე წავიდა და მეორე წრეში გუნდის მთავარმეგოლე იმედაშვილი გახდა. მან რამდენჯერმე ნახევარდაცვაში ითამაშა და იქაც წარმატებითაც. იმედაშვილს გოლები მხოლოდ სტანდარტული სიტუაციებიდან არ გაუტანია, შეტევებში ისედაც ხშირად ერთვებოდა.

მეორე წრეში იმედაშვილი ახალგაზრდულ ნაკრების ხელმძღვანელობამაც შენიშნა და გუნდში მიიწვია.

ჰაატა დათუნაიშვილი

ძალიან ძლიერია ორთაბრძოლებში, უშიშარი და შეუპოვარია, თავს არ ზოგავს და შეტევაში ჩართვაც ხელეწიფება. ხშირად იღებდა ყვითელ ბარათებს, მაგრამ მეორე წრეში ეს ნაკლიც გამოასწორა. იმედაშვილთან ერთად „ვიტ ჯორჯიასთვის“ დათუნაიშვილი სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო.

რევაზ გეწაძე

პირველ წრეში გეწაძემ ულამაზესი გოლი გაუტანა „დინამოს“ და საერთოდაც, მას ჩვევია ეფექტურად თამაში. აგრესიულად უტევს და ცაციათი ღონივრად ურტყამს, „ბორჯომის“ ერთ-ერთი ლიდერი და ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

დავით ბოლქვაძე

პირველ წრეში „სიონში“ უკეთ თამაშობდა, თუმც „ამერსაც“ გამოადგა. შეტევაშიც მარჯვეა და ჩაშლაშიც. გამოცდილია, კარგი დარტყმა აქვს, ვარდნაში ბურთის ართმევაც ეხერხება და ზუსტი მოკლე პასიც.

ლევან ხმალაძე

ჩემპიონი გუნდის ხერხემალი იყო. ჯანიც ერჩის და კარგადაც აზროვნებს. „სიონში“ „დინამოდან“ იყო განათხოვრებული და შეიძლება ითქვას, რომ ხმალაძემ „სიონში“ საკუთარი თავი იპოვა.

გოგი ფიფია

ბურთის ფლობა, დრიბლინგი, ფინტები — ამ კომპონენტებში მას ბადალი არ ჰყავდა მეჩვიდმეტე ეროვნულში. ფიფია ბომბარდირულ თვისებებში ცოტა მოიკოჭლებს, მაგრამ უამისოდაც სასარგებლო და ეფექტურია.

ჯოჯა მიკუჩაძე

რბილი მანერის ფორვარდია, სწრაფი აზროვნების ხარჯზე აბათილებს ნაკლს — ფიზიკურ ორთაბრძოლებში ვერ გამოირჩევა. მეორე წრეში მიკუჩაძემ ორ გადამწყვეტ მატჩში გაიტანა გოლები — „სიონმა“ შინ „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“ კინკილათი რომ მოუგო, ის ბურთები მიკუჩაძემ შეაგდო.

ზურაბ იონანიძე

კლასი და გამოცდილება — როცა იონანიძე მინდორზეა, ეს ყოველთვის იგრძნობა. მეჩვიდმეტე ეროვნულში იონანიძემ 17 გოლი გაიტანა. მას სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს ლიგებში 202 ბურთი შეუგდია.

დავით თავართქილაძე



დავით
გულუა
ბერლინიდან

გერმანია კბილებს გამოაჩენს. ღიმილისთვის

ფერწერა, კინო, მუსიკა: ვემსახურებით მსოფლიოს ჩემპიონატს!

ორი წლის მანძილზე იკლებდა ძილს ბერლინელი ხელოვანი მარტინ კეკი, 1935 წლიდან დღემდე გადაღებული 85 უცნობილესი საფეხბურთო სცენის ფოტოები მოიპოვა (რომლებზეც ბურთს პელე, მარადონა, ბექემი და ბირგიტ პრინცი აგორებენ, ყველაზე მეტგან კი — უვე ზველერი), კომპიუტერზე გადაამუშავა, გავარდა შემდეგ ჰფალცის მხარეს, შეაწრიალა ქალაქ შვანდორფის საარქიტექტურო კერამიკის ფაბრიკის პერსონალი, 60 სანტიმეტრი სიგრძისა და 90 სანტიმეტრი სიგანის 384 ცალი კერამიკული ფილა გამოაწვევინა (მთლიანი ფართი 207 კვადრატული მეტრი გამოდის), ხატა თეუობით თავაუღებლად, ბოლოს ფილები იმავე ფაბრიკაში ერთიან სურათად აქცევინა და რამდენიმე დღის წინ პირველად გამოფინა ზემობავარიულ შვარცენფელდში.

მონუმენტურ საფეხბურთო მოზაიკას მაისის ბოლოს უკვე ბერლინში ელიან. მისი ადგილი კათედრალური ტაძრის წინ, მხიარულ ბაღშია მონიშნული და უეჭველად ფანების და ტურისტების შეჯგუფების ერთ-ერთ საბაბად იქცევა, ყოველ შემთხვევაში, თვით ხელოვანის აზრით.

ეს იყო ერთი მცირე ეპიზოდი ვრცელი თემიდან „მუნდიალ 2006 და ხელოვნება". ზოგადად, როგორც ტორტს კრემი და მარწყვი, ფეხბურთსაც ხელოვნება ერთობ უხდება და სჭირდება. ოდნავ ხომ ფერი მოაკლდებოდა ამ თამაშს ფრედი მერკურის We are the Champions-ის გარეშე. განა განთქმული ჰიტიც „დინამო, დინამო" დიდებული 13 მაისის აუცილებელი ატრიბუტი არ არის?! მოკლედ, იციან ფეხბურთის მარკეტოლოგებმა ამ გარემოებათა მნიშვნელობა და მუნდიალის წინარე პერიოდს ხელოვნების პრიზმაში ფეხბურთის გასატარებლად აქტიურად იყენებენ. მაგალითი: ამას წინათ ბერლინში საფეხბურთო ფილმების მე-3 საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. მაყურებელმა და კრიტიკამ რამდენიმე სურათი ერთობ მოიწონა: აფრიკული „ყვითელი ბარათი" მწვანე მინდორზე და მის გარეთ მიღებულ ყვითელ ბარათებზე, 1942 წლის გერმანული დოკუმენტური ფილმი „დიდი თამაში" ძვირფასი კადრებით ბერლინის ოლიმპიური სტადიონიდან, ფრანგ შტეფან მონიეს ქრონიკა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების ყოველდღიურობის დეტალებით და ბოლოს, „უაღრესად საინტერესო" (კრიტიკოსთა სიტყვებია) ქართული ფილმი „როგორ მოვიდა ფეხბურთი საქართველოში".

მხოლოდ ინდუქციური ანალიზით თუ დავადგენთ ამ უცნობი ქართული ფილმის რაობას. რადგან გერმანელებს თარგმნისას ფილმების და წიგნების სათაურთა დაუნდობლად შეცვლა სჩვევიათ (ილფის და პეტროვის „ოქროს კერპი" „მილიონზე ნადირობად" თარგმნეს, სერჯო ლეონეს სპაგეტი-ვესტერნს „ერთხელ ველურ დასავლეთში" გერმანულად „დამიკარი სიკვდილის სიმღერა" ჰქვია და მსგავსი მრავალი), სურათის საწყისი სახელი „პირველი მერცხალი" უნდა იყოს, მით უფრო, რომ საზოგადოებას მოსწონებია და „პირველი მერცხალი" სწორედ ის ფილმია, ყველაზე განათლებული კრიტიკოსიც რომ ვერ დაიწუნებს.

ხოლო მუსიკა მთავარია: 12 მაისს გერმანიის დახლებზე მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ალბომს „მსოფლიო თასის ხმები" ელოდნენ, მერე 19 მაისიო და ბოლოს დისკის გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის გადაიდო, თუმცა MP3-პლეერებისა და მობილური ტელეფონებისთვის ცალკეული სიმღერების მცირე ფასად ჩამოტვირთვა კარგა ხნის წინ დაიწყო და მეკობრული ასლები ხომ თავისთავად დიდი სიჩქარით იფანტება ინტერნეტის ქსელში. ამიტომ გერმანიის, ევროპისა და მთლიანად მსოფლიოს დაინტერესებულმა საზოგადოებამ უკვე იცის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური ჰიმნის და ოფიციალური სიმღერის (ესენი სხვადასხვა ცნებებია) არსებობა, სახელები, მოტივები და შემსრულებლები. ჰიმნი ფიფას დაკვეთით გერმანიის ვისოცკიმ, იგივე ჰერბერტ გრონემაიერმა დაწერა და 9 ივნისს გერმანია — კოსტა რიკის თამაშის დაწყებამდე იმღერებს. სიმღერის შესაქმნელად გაერთიანდნენ პოპ-კვარტეტი „ილ დივო" და გაბზარულ გულებზე სოულის სტილით მომღერალი ტონი ბრექსტონი, შედეგად კი გამოვიდა გვარიანი სინგლი Time of Our Lives, რომელიც იმავე დღეს შესრულდება გრონემაიერის ჰიმნის კვალდაკვალ.

მოვერიდები ქართველ თინეიჯერთა რისხვას („შენ ვის ასწავლი?!"), ტონი ბრექსტონზე სულ არაფერს ვიტყვი, ხოლო „ილ დივოზე" მხოლოდ იმას, რომ ეთნიკურად ჭრელი კვარტეტის ოთხივე მომღერალი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეა) რეპერტუარი კლასიკისა და პოპის საკმაოდ ნიჭიერ ნაზავს წარმოადგენს და ამერიკის მუსიკალური ჩარტების მოწინავე ადგილებს არ შორდება. ამ მხრივ ფიფას კულტურის სამსახურმა ტრადიციას არ უღალატა და ამ ჯერზეც ფართო მასებში სახელდაგდებული მუსიკოსები დაიქირავა მსოფლიოს მთავარი საფეხბურთო მოვლენის ხმოვანი განდიდებისთვის.

მოგეხსენებათ, წინა მუნდიალებს მუსიკას უწერდნენ და უმღეროდნენ ედუარდო ბენატო და ჯანა ნანინი (იტალია, 1990), დერილ ჰოლი (აშშ, 1994), რიკი მარტინი (საფრანგეთი, 1998), ანასტასია და ვანგელისი (კორეა-იაპონია, 2002). აქ უცნობი არავინაა და სხვაგან თუ არა, გერმანულენოვან სივრცეში ჰერბერტ გრონემაიერსაც დიდი და პატარა იცნობს, მათ შორის MTV-ს თაობაც.



ჰერბერტ გრონემაიერი

2002 წლის შუა თვეებში სწორედ ეს დროული კაცი (50 წლისაა) კარგახანს გერმანიის ჩარტების უცვლელი ლიდერი იყო ფრიად უცნაური კლიპით „Mensch"-(ადამიანი), სადაც თეთრი დათვი ჯერ ქალაქში დაბოდიალობს უმისამართოდ, მერე ქვიშის სასახლეს აგებს და თავადვე ანგრევს. მუსიკალური კარიერის ალიონზე გრონემაიერს უიღბლო ეთქმოდა, დისკებს ცალობით ძლივს ყიდდა და კრიტიკოსები მის სიმღერას ჯღავილად ნათლავდნენ. სულო ცოდვილო, მომღერლის ვოკალი მართლაც ვერაა პირველხარისხოვანი, მაგრამ მუსიკა კარგად გამოსდის და ორიგინალური ტექსტების ავტორიც თავადაა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გერმანიაში იგი მოქმედი კერპია, ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჰიმნი ფიფას ვინმე უცხოელისთვის რომ ჩაებარებინა, სამართლიან ბიურგერთა პროტესტები დედამიწას შეძრავდა, ახლა კი მუნდიალის მასპინძლებში კმაყოფილება სუფევს.

მანჰაიმში დაბადებულ და ბოხუმში მცხოვრებ გრონემაიერს უყვარს კინოში თამაში (იხილეთ 1982 წელს გადაღებული „ნავი" მეორე მსოფლიო ომის თემაზე), მაგრამ არ გავიგია, ფეხბურთის თამაშიც რომ ყვარებოდეს. ახლა ალბათ მისმა ახალმა სტატუსმა მოითხოვა და მომღერალი მიმდინარე თვის პირველ ნახევარში ინგლისში წავიდა, სადაც „რედინგის" მჩეიდანზე გერმანიისა და ინგლისის მოყვარულთა ნაკრებები საქველმოქმედო მატჩში დაეტაკნენ ერთმანეთს. გერმანელთა მწვრთნელი ლოთარ მათეუსი ამბიციური გუნდის შეკვრას გეგმავდა, მაგრამ ზოგი კანდიდატი ტრავმამ შეაწუხა, ბორის ბეკერს კი ბოლო წუთს შემოუთვლია ბოდიშიანი უარი. მათეუსმა ძველ რეზერვებს მიმართა და ახალგაზრდობა გაახსენებინა ყოფილ ნაკრებელ კოლეგა ბოდო ილგნერს, ვისმა საიმედო თამაშმა და გერმანელთა თავდასხმის აგრესიულობამ საბოლოო 4:2 მათ სასარგებლოდ ჩამოქნა.

წერილის გმირი გრონემაიერი გულის ამოვარდნამდე დარბოდა, მაგრამ გოლი ვერ შეავდო. მიუნხენის „ალიანს არენაზე" მისი სიმღერის პრემიერამდე კი ცოტაღა დარჩა, რამდენიმე დღეც და დიდი და ნაღდი შოუ დაიწყება. საორგანიზაციო სამზადისი თითქმის ბოლომდეა მისული, ოღონდ ფრანც ბეკენბაუერის „ღიმილის პროგრამის" მიმდინარეობაზე ჯერ ვერაფერი გავიგეთ. 3-მილიონიანი პროექტის მიხედვით, გერმანიამ შუბლი უნდა გაიხსნას, ღიმილი უნდა ისწავლოს და სტუმრებს კბილების მაქსიმუმი უნდა უჩვენოს.

კაიზერს და კომპანიას ჩვენგან რა ესწავლება, მაგრამ გერმანიაში ღიმილზე მეტად იქნებ ბისმარკისულვაშა, ნაპატიები, სერიოზული და კეთილი ბიურგერის სანახავად ღირდეს ჩამოსვლა, ან კიდევ გაუცინარი ფრაუსი, ცალი ხელით 8 კათხა ლუდის ტარება რომ შეეძლია. რაც შეეხება დაფინანსებულ ღიმილს, ამ საქმისთვის დამატებითი ხარჯები ალბათ ზედმეტი იყო. სადაც საჭიროა, გერმანია დანარჩენ მსოფლიოზე არანაკლებს იღიმის.

პოპ-კვარტეტი „ილ დივო"

ინტერვიუ ნარკომანთან

სამუელ ეტოო გოლის შემდეგ პარიზიდან ბარსელონაში გარბოდა

„ბარსელონას“ შემადგენლობაში სამუელ ეტოომ ორ წელიწადში ჩემპიონთა თასი, ორჯერ ესპანური პრიმერა და ესპანეთის სუპერთასი მოინადირა. მოკლედ, რაც აფრიკელი „მალიორკადან“ „კამპ ნოუზე“ გადაბარგდა, კატალონიელ კომენტატორებს სულ VICTORIA და TRIUMFO აკერიათ პირზე... ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, კამერუნელმა ფორვარდმა „არსენალს“ პირველი გოლი გაუტანა და „ბარსელონას“ გამარჯვებას დაუდო სათავე. დღეს ეტოო უკვე მომავალ გამარჯვებებზე ფიქრობს

— თქვენ ფინალის წინ განაცხადეთ, რომ ისტორიას ჩემპიონები ქმნიან. „სტად დე ფრანსზე“ „ბარსამ“ თავის ისტორიაში ახალი, ოქროს ფურცელი ჩაწერა...

— გეთანხმებით. ყველამ იცის, რომ ფინალის მონაწილეთაგან მხოლოდ გამარჯვებულები ამახსოვრდებათ. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, რომ უამრავ ხალხს მივანიჭეთ სიხარული.

— ეს თქვენი ოცნების ფინალი იყო?

— დიახ. ცუდია, რომ ლონდონელები დაწინაურდნენ, რადგან ამან „ბარსას“ თამაში გარკვეულწილად არია. თუმცა ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოგება და გოლის გატანა ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. ღმერთი ძალიან მწყალობს.

— რა გაიფიქრეთ გოლის გატანისას?

— სიხარულისგან კინაღამ მოკვდი. მერე გავიქეცი და ბიჭებს რომ არ შევეჩერებინე, ბარსელონამდე სულ სირბილით ჩავიდოდი... მეცხრე ცაზე ვიყავი. ვხედავდი, ტრიბუნებზე გოლს როგორ ზეიმობდნენ და მეც სიგიჟემდე ერთი ნაბიჯი დამაკლდა. სიმართლე რომ გითხრათ, ნახევარიც არ მახსოვს, რაც მაშინ გავაკეთე. თუ მეტყვით, ტრიბუნაზე ახტი, დაგიჯერებთ...

— ეს თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი იყო?

— აქამდე რაც გამიტანია, ყველაზე მნიშვნელოვანი. თუმცა ვიმედოვნებ, მომავალში კიდევ ბევრ ასეთ გოლს გავიტან.

— ლარსონის პასი დიდებული იყო!

— ჰენრიკი ნამდვილი ვარსკვლავია, როჟე მილასავით, რაც უფრო ასაკში შედის, უფრო უკეთესად თამაშობს.

— ფრანკ რაიკარდმა რა გითხრათ მატჩის დასრულების შემდეგ?

— ისე მომხვია მკლავები, რომ ვიფიქრე, დათვმა შემბოჭა-მეთქი. მერე ჰენკ ტენ კატი მეცა და დამახრჩო კინაღამ — ლომივით ძლიერია...

— უეფამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელათ. რა იგრძენით?

— კარგია, როცა ხალხი შენს შრომას აფასებს, მაგრამ ჩემპიონთა თასის აღებასთან შედარებით ეგ ამბავი ანეგდოტად მომეჩვენა...

— იცით, რომ თქვენს მატჩს ისტორია „უემბლიზე“ რონალდ კუმანის გმირობასავით შემოინახავს?

— უკეთესია, ისტორიაში ეს მთლიანად „ბარსას“ და არა რომელიმე ცალკეული ფეხბურთელის მატჩად დარჩეს. ყველამ ბრწყინვალედ ითამაშა. განსაკუთრებით კი მინდა ლუდოვიკ ჟულის კარგი ბურთაობა, გამოვყო. ხელსაყრელ პოზიციაზე ელვასავით გაიჭრებოდა ხოლმე და პასებით მის მოძარაგებას ვერ აუვუდიოდით. ერთ მომენტში მეგონა, მოედანზე სამი ჟულია-მეთქი. „პატარა“ ფინალში ყოველისშემძლე გახლდათ.

— ამ სეზონისგან სამუელ ეტოო წესით, გულნატკენი არ უნდა დარჩენილიყო...

— შესანიშნავი სეზონი გვქონდა. იმდენი ბრწყინვალე რამ განვიცადეთ, რომ ყველაზე დიდი სიხარულის გამორჩევა დანაშაული იქნება. ცუდია, რომ აფრიკის თასზე კამერუნის ნაკრებთან ერთად გამარჯვება ვერ შევძელი.

— ფინალის შემდეგ ბევრი გირეკავდათ?

— უამრავი. არ მეგონა, თუ ამდენი მეგობარი მყავდა.

— განსაკუთრებით ვისმა მოლოცვამ გაგახარათ?

— ყველა ზარი განსაკუთრებული იყო, რადგანაც იმ ხალხს ეკუთვნოდა, რომლებიც ჩემს გულში არიან. ჯერემის მოლოცვამ ძალიან გამახარა, რადგანაც მას ორი დიდევროპული თასი აქვს.

— ჩანს, მეგობრები ერთმანეთს მოპოვებული თასების რაოდენობით ეჯიბრებით...

— ჯერემიმ იცის, რომ საცაა დავეწევი და გადავუსწრებ. ჩვენ გუნდს უახლოეს მომავალში ორი ან სამი ჩემპიონთა თასის მოგება შეუძლია. რაც დრო გადის, ჩემპიონთა ლიგა მით უფრო რთული ხდება, მაგრამ „ბარსელონაც“ არანაკლებ გაიზარდა და გაძლიერდა.

როცა ძლიერთა გვერდით თამაშობ, ბევრ რამეს სწავლობ მათგან. რონალდინიო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და ღმერთს მადლობას ვწირავ, მასთან რომ შემახვედრა.

— ღმერთს და ხუან ლაპორტასაც, რომელმაც „ბარსაში“ თქვენ და რონალდინიო მოგიყვანათ.

— პრეზიდენტს ძალიან ვაფასებ. მატჩის შემდეგ ლაპორტა გასახდელში ჩამოვიდა, ყველას სათითაოდ გადაგვეხვია და მაშინ ვიფიქრე, რომ მარტო ამის გამო ღირდა სალიგო ტანჯვა-წამება... ლაპორტამ იცის, რომ მისი უდიდესად მადლიერი ვარ.

— საამსეზონოდ კიდევ ერთი ჯილდო გაქვთ მოსაგები — ვალენსიელი ვილია გატანილი გოლებით გაგითანაბრდათ, თუმცა ესპანეთის მთავარმეგოლეობის დასამტკიცებლად წინ „ბილბაოსთან“ მატჩია...

— „პიჩიჩის“ ტიტულის აღება ძნელი იქნება, „ბილბაო“, როგორც ყოველთვის, უშეღავათოდ იომებს, ოღონდ ამოსუნთქვის საშუალება თუ მომეცა...

— მთავარმეგოლეობა სეზონის ღირსეულად დაგვირგვინება იქნება?

— დიახ. გუნდმა ესპანეთის ჩემპიონობა, სუპერთასი და ჩემპიონთა თასი მოიგო და მეც ჩემს ფიზიკას მივაღწევ. თუმცა [illegible] ნიშნავს, რომ სამომავლოდ [illegible] ნაკლები მონდომებით ვიბრძოლებ.

— მიღწეულით არასდროს კმაყოფილდებით?

— მოგება ჩემი ერთადერთი ნარკოტიკია. მე ტრიუმფებით ვიკვებები. როცა წაგება შემომეჩვევა, ბუცებსაც ჩამოვკიდებ ლურსმანზე. სულ უფრო და უფრო მეტი გამარჯვებები მსურს.

— მაგრამ რაღა უნდა მოხდეს, რომ საამსეზონო წარმატებები გადაფაროს, ეს ურთულესი რამაა...

— ადვილი არ იქნება, რა თქმა უნდა, მაგრამ ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია. ახლა საკონტინენტთაშორისო თასზე და ესპანეთის სუპერთასზე ვითამაშებთ. ამ ორი ჯილდოს მოგება მომავალი სეზონი „ბარსელონას“ ჩაეთვლება პლუსად.

— და თქვენ პირადად 30-გოლიანი მარაგის გადამეტებას აპირებთ?

— რასაკვირველია. არასდროს მითქვამს, ორმოცდაათს გავიტანმეთქი, რადგანაც ასეთი რამის გაკეთება სუპერმენსაც არ შეუძლია. მაგრამ 35-ს სამომავალსეზონოდ თამამად გპირდებით.

— „ბარსელონაში“ თქვენს ბურთაობას კიდევ დიდხანს ვიხილავთ?

— სანამ სხეული გამიძლებს და რაიკარდი და ლაპორტა გუნდში დარჩენაზე უარს არ მეტყვიან. მე კარგად ვიცი, რომ „ბარსელონა“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია.

— სამუელ, მინდა ყველა დიდებული გამარჯვებებისთვის გითხრათ მადლობა...

— არა, მადლობა მე კი არა, ყველა იმ ადამიანს უთხარით, ფინალში რომ გვამხნევებდნენ. ხალხი ბარსელონიდან საფრანგეთში მომქანცავი მგზავრობის შემდეგ ჩავიდა და მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს ისევ სამუშაოზე უნდა დაბრუნებულიყო, გულმხურვალედ გვიქომაგეს. მადლობა უთხარით იმათაც, ვინც ფინალის ბილეთი ვერ იშოვა და ბარსელონაში, ლა რამბლაზე, ჩვენთან ერთად განიცდიდა გუნდის სიხარულს... მადლობა ყველას...

ბრაზილიის ნაკრებისა და „რეალის“ მცველი სისინიო სამშობლოში დაბრუნებისთანავე გაქურდეს. მას აეროპორტში ჩანთა მოპარეს, რომელშიც პასპორტი და 200 ევრო იდო. ცოტა ხანში ფეხბურთელი შვეიცარიაში გაემგზავრება, სადაც ეროვნულ ნაკრებს შეუერთდება და მუნდიალისთვის მზადებას დაიწყებს.

ფრანგული „ოსერის“ ახალი თავკაცი შესაძლოა, ლორან ბლანი გახდეს. იგი კლუბთან მოლაპარაკებას აწარმოებს და ოსერელთა ვიცე-პრეზიდენტ ჟერარ ბურგოინის თქმით, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

გერმანული „ბაიერნის“ ბრაზილიელი ლეგიონერი ზე რობერტო მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ახალ კლუბს მოძებნის. ზე რობერტოსთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკებები ჩაიშალა.

ინგლისური „ფულემი“ გადახალისებას იწყებს. ხელმძღვანელობამ გუნდიდან ალან გომას, ფაკუნდო სავას, რობერტ უოტკინსის, ნილ მაკდერმოტის, ადამ გრინისა და რიჩარდ დე ვილერსის გაშვება გადაწყვიტა. ამბობენ, რომ შესაძლოა, მალე ამ სიას სტივ მალბრანკიც შეემატოს.

ჩესი მცველი ტომაშ გალაშეკი „აიაქსიდან“ „ნიურნბერგში“ გადავიდა. 33 წლის ვეტერანი გერმანულ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ესპანური „კადისის“ მწვრთნელი ვიქტორ ესპარაგო დაითხოვეს. პრიმერადივიზიონიდან გავარდნით უკმაყოფილო ანდალუზიელთა შეფობამ 61 წლის ურუგვაელი გაუშვა და ახლა მის შემცვლელს ეძებს.

ინგლისურ პრემიერლიგაში დაბრუნებული „შეფილდ იუნაიტედის“ მწვრთნელი ნილ უორნოკი გუნდის პირველი ორი მატჩისას ტრიბუნაზე იჯდება. დისციპლინარულმა კომიტეტმა იგი მსაჯებთან ხშირი კამათის გამო ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით და ათასი გირვანქით დასაჯა.

სერბული „პარტიზანის“ მწვრთნელი მომავალი სეზონიდან სამი წლით მიოდრაგ იეზიჩი იქნება. შეგახსენებთ, რომ იეზიჩი ბელგრადელებს ადრეც თავკაცობდა და არცთუ წარუმატებლად, გასულ სეზონში კი სოფიის ცსკა-სთან ერთად ბულგარეთის ჩემპიონი გახდა.

გერმანულმა „კიოლნმა“ „დორტმუნდიდან“ სალვატორე გამბინო, ხოლო „ვერდერიდან“ ჰეკა ლაგერბლუმი დაიმატა. „თხებმა“ პირველთან ორწლიანი, მეორესთან კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „კიოლნი“ კიდევ უფრო გაძლიერებას აპირებს, რათა ბუნდესლიგას ისევ დაუბრუნდეს.

ოთხლულიანი ფრანგული ფიფქი

„ბარსელონა“ ძალიან მიყვარს, მაგრამ „არსენალში“ ვრჩები“ — განაცხადა გუშინ ტიერი ანრიმ „სანთან“ ინტერვიუში. ფრანგ მეგოლეს ლონდონურმა კლუბმა ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზა და ისიც დაყაბულდა, თუმც „ბარსელონას“ სიყვარულში გამოუტყდა და ფანებს უთხრა ღალატში ნუ ჩამითვლითო.

„ვითამაშებ სანამ ჯანი მეყოფა — თქვა ანრიმ — „არსენალის“ გულშემატკივრებს ვერ ვუღალატებ. ეს კლუბი ჩემთვის უკვე ოჯახია. გუნდმა პარიზულ მატჩში დამარწმუნა, რომ უნდა დავრჩე. ჩემი წასვლა-დარჩენის საკითხი დიდხანს იყო ჰაერში გამოკიდებული, მაგრამ „არსენალი“ აღმა მიდის და მეც მასთან ერთად ყოფნა მსურს. „ბარსელონასთან“ მარცხის შემდეგ ფანებთან მივედი და მათ ტაშით დამაჯილდოვეს. მივხვდი, რომ ჩემი ადგილი „არსენალშია“. ჩვენ კიდევ ვითამაშებთ ჩემპიონთა ლიგის ფინალში“.

ვაჟა ხუციშვილი

დასტვენილის გაქცევა

დიდი დროგბა „ჩელსიდან“ მიდის: „არ ვხუმრობ. წასვლა მინდა, რადგან ფანებისგან სტვენას და შეურაცხყოფას ვეღარ ავიტან. სკანდალები არ მჭირდება. ისეთ გუნდში გადავალ, სადაც მშვიდად ვითამაშებ. ფეხბურთელისთვის მუდმივი წნეხის ქვეშ ყოფნა ძნელია“.

ორი წლის წინ „მარსელიდან“ 24 მილიონ გირვანქად ნაყიდ კოტდივუარელ ფორვარდს, ალბათ, არგენტინელი კარლოს ტევესი შეცვლის, რომელიც „ჩელსის“ 22 მილიონი დაუჯდება. დროგბას წაყვანა „ლიონს“ უნდა, მაგრამ იყო მეორე ვარიანტიც: შევჩენკო „ჩელსიში“ დროგბა კი „მილანში“, თუმც ადრიანო გალიანიმ განაცხადა „შევა“ არ იყიდებაო. კოტდივუარელ მეგოლეს იტალიაში გადასვლა უფრო ხიბლავს: „მილანი“ ძალიან მომწონს, მაგრამ სადაც არ უნდა გადავიდე, ჩემთვის მთავარი იქნება ჩემპიონთა ლიგის მოგება“.

რაც შეეხება დელ ორნოს, რომელსაც გუნდიდან უშვებენ, ჟოზე მაურინიუმ მას შემდეგ აითვალწუნა, რაც „ბარსელონასთან“ მერვედფინალურ მატჩში გააძევეს. ესპანელის გაგდების მერე „ჩელსიმ“ წააგო და ორრაუნდიან ბრძოლაში „ბარსასთან“ დამარცხდა. დელ ორნოს თამაში პორტუგალიელ მწვრთნელს ბოლოხანებში აღარ მოსწონდა. მცველის ყიდვა „სევილიას“ და მადრიდის „რეალს“ სურთ.

ვაჟა ხუციშვილი

სისეს საფრანგეთში ორი გული დარჩა



ფრანგი ფორვარდი ჯიბრილ სისე სამშობლოში ბრუნდება. მომავალი სეზონიდან შესაძლოა, „მარსელის“ ფორმა მოირგოს. „ველოდრომის“ ბინადრები 24 წლის თავდამსხმელს დიდი ხანია, უტრიალებენ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სისეს მერსისაიდელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს, ეს ტრანსფერი სავსებით რეალურია.

„თუ „მარსელი“ ისევ დაინტერესებულია ჩემით და დამიკავშირდება, წინადადებას სერიოზულად განვიხილავ. ამ კლუბში თამაში ყოველთვის მინდოდა. საფრანგეთში ჩემთვის ორი გუნდია — „ოსერი“ და „მარსელი“. თანაც „ველოდრომზე“ გადასვლას გასულ ზაფხულსა და იანვარშიც ვაპირებდი“ — აღნიშნა სისემ.

საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი „ლიეერპულში“ „ოსერიდან“ გადავიდა. იგი თავის მომავალს, ალბათ, მერსისაიდელთა თავკაც რაფაელ ბენიტესთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვეტს.

ჯიბრილ სისე: „საბოლოო გადაწყვეტილებას მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მივიღებ. ახლა მხოლოდ ეროვნულ ნაკრებზე ვფიქრობ“

ძოკი კანდელაკი

ჰელე: ჩემი კოჭი, ინგლისი ფინალშია

ჰელე დარწმუნებულია, რომ უეინ რუნის დაშავების მიუხედავად ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა შეუძლია. მოგეხსენებათ, რუნის ამბავი ჯერ კიდევ გასარკვევია. ექიმები 25 მაისს გასცემენ პასუხს კითხვაზე, შეუძლია თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელს გერმანიაში გამგზავრება, თუმცა არც იმის მიხვედრაა ძნელი, რომ თუ რუნი მუნდიალზე წავა, სულ მცირე ჯგუფური ეტაპის თამაშებს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ 20 წლის ფორვარდმა გერმანია 2006-მდე ექვსი კვირით ადრე მოიტეხა ფეხი.

„ვფიქრობ, აშკარაა, რომ ბოლო ოთხ წელიწადში ინგლისმა ძალიან მოუმატა — განაცხადა ბრიტანეთში ჩასულმა ჰელემ, სადაც საკუთარი ავტობიოგრაფიის რეკლამირებით გახლდათ დაკავებული — ბოლო ათი წლის განმავლობაში ინგლისის ნაკრები ორგანიზაციის თვალსაზრისით საუკეთესოა და ბუნებრივია, ფინალში გასვლის დიდი შანსი აქვს. რაც შეეხება რუნის ამბავს, ის ნამდვილად სამწუხაროა. რუნი ფანტასტიკური ფეხბურთელია და მისი არყოფნა ინგლისელებს დაეტყობათ, რადგან ამ ფორვარდის სრულფასოვანი შემცვლელი არ ჩანს. და მაინც, ვფიქრობ, რომ ინგლისის ნაკრები რუნის გარეშეც ძალიან ძლიერი გუნდია“.

შემდეგ, 65 წლის „ფეხბურთის მეფემ“ ინგლისის ნაკრების მწვრთნელს სვენ-გრან ერიკსონს მოუწონა გადაწყვეტილება, რომ თუკი რუნის წაყვანის ოდნავი საშუალება მაინც იქნება, ის მას მსოფლიოს ჩემპიონატზე იახლებს.

„ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, ვინაიდან რუნის ყოფნა გუნდს საკუთარი თავის რწმენას შემატებს. მთავარია, ექიმებმა თქვან, რომ ის მალე გამოჯანმრთელდება. მახსოვს, 1958 წელს არც მე მითამაშია პირველ შეხვედრებში, მეც დაშავებული გახლდით, მაგრამ შემდეგ ჩავერთე საქმეში. ასევე იქნება რუნიც. ერთი ეგაა, მე კოჭი მქონდა გადატრიალებული, მან კი ფეხი მოიტეხა, თუმცა ისიც უნდა დავამატო, რომ დღევანდელი და 1958 წლის მედიცინის შედარება არ შეიძლება“.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა ჰელეს არც თინეიჯერი არსენალელის, 17 წლის თეო უოლკოტის ამბავი დაატოვებინეს უკომენტაროდ.

„ჩემი და უოლკოტის შედარება ძნელია, რადგან მისი თამაში არავის უნახავს, თანაგუნდელებსაც კი, მე კი 16 წლისას არგენტინასთან მქონდა ნათამაშები. ერთი სიტყვით, შვედეთში რომ ჩავედი გამოცდილება ოდნავ მეტი მქონდა. ამიტომაც მიჭირს იმის თქმა, რას შეძლებს თეო უოლკოტი, თუმცა ფაქტია, რომ რაკიდა 17 წლის ბიჭი მსოფლიოს ჩემპიონატზე მაჭყლეს ესე იგი ძლიერია“ — თქვა ჰელემ.

პაპუნა კედია

ბერლუსკონი, როგორც მეტაფორა

პროკურატურიდან გამოსული მარჩელო ლიპი

იტალიურ ფეხბურთში რომ დიდი არეულობაა, ბუნებრივია ქვეყნის ახლადარჩეულმა პრემიერ მინისტრმა, რომანო პროდიმაც კარგად იცის. მემარცხენე პოლიტიკოსს, რომელმაც არჩევნებში სულ ახლახან აჯობა წინა პრემიერს, „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის, მიაჩნია, რომ ის, რაც კალჩოში ხდება ჩინებული მეტაფორაა იმისა, რაც მთელ ქვეყანაში, ყველა სფეროში ხდება. ამ სიტყვებით პროდიმ სენატს მიმართა და ფაქტობრივად ის თქვა, რომ ბერლუსკონის წყალობით იტალია კორუფციის ჭაობშია ჩაფლული.

მაგრამ კალჩოს სკანდალი ხომ „იუვენტუსის“ დირექტორატის მიზეზით აგორდა და ბერლუსკონის „მილანი“ არაფერ შუაშია, იტყვის რომელიმე მკითხველი, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ იქნება მართალი. საქმე ის გახლავთ, რომ ნეაპოლის პროკურატურაში დაწყებულმა გამოძიებამ გამოააშკარავა 9 მსჯისა და 11 სხვა ოფიციალური პირის ვინაობა, რომელთაც სავარაუდოდ გარიგებული თამაშები უმსაჯიათ. ამ მსაჯებს შორისაა ცნობილი მასიმო დე სანტისიც. ეს არბიტრები დროებით მოკვეთილნი არიან საქმიდან და მათი ამბების ჩხრეკას „იუვენტუსის“ გარდა „მილანთან“, „ფიორენტინასთან“ და „ლაციოსთან“ მივყავართ. მოკლედ, ფაქტია, რომ თუკი იტალიურ ფეხბურთში ჩაწყობები მართლა არსებობდა, მასში მხოლოდ ერთი გუნდი ვერ იქნებოდა გარეული და კიდევ, როგორც აღრინდელი გამოცდილება გვაჩვენებს, თუკი იტალიელები ჩამწყობებს სჯიან, ჯოხს მხოლოდ ერთზე არ ტეხენ.

თუმცა, რასაკვირველია, მთავარი ეჭვმიტანილი „იუვენტუსი“ გახლავთ, რომლის ჩეხმა ვარსკვლავმა პაველ ნედვედმა თავისი ქვეყნის ნაკრების ბაზიდან შემოთვალა, თუ „ბებერ ქალბატონს“ სერია A-დან დაითხოვენ, ფეხბურთის თამაშს სულ დავანებებ თავსო.

„უკვე 34 წლისა ვარ და მართალია, ჯერ საბოლოოდ არაფერი გადამიწყვეტია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეიძლება სულ დავანებო ფეხბურთს თავი. ჯერ-ჯერობით შევხედავ, როგორ განვითარდება „იუვენტუსში“ მოვლენები“ — თქვა ნედვედმა.

და ბოლოს, „ბებერი ქალბატონის“ ყოფილი მწვრთნელის, დღეს მსოფლიოს ჩემპიონატზე სერიოზული ამბიციით მიმავალი იტალიის ნაკრების ოავკაცის მრჩელო ლიპის დაკითხვის შესახებ. ლიპი ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვის საგენტო GEA-სთან დაკავშირებული ამბების გამო დაკითხეს. ამ საგენტოს სათავეში „იუვეს“ ყოფილი გენერალური დირექტორის ლუჩანო მოჯის ვაჟი ალესანდრო უდგას და მასთან საკუთრივ ლიპის შვილი თანამშრომლობს, მაგრამ ამის მიუხედავად, ლიპი არაფერში არ არის ეჭვმიტანილი. მას ამასწინათ მოჯიმ დაურეკა და როგორც ამ საუბრის მომსმენებს მოეჩვენათ, ნაკრებში ვიღაც-ვიღაც გასაყიდი ფეხბურთელების გამოძახება დააძალა თუ შესთავაზა...

პაპუნა კვედია

არგენტინული „ესტუდიანტესის“ მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონე გახდა. ახლო წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ამ პოსტზე ხორხე ბურუჩაგა შეცვალა. შეგახსენებთ, რომ სიმეონეს მწვრთნელად უკვე უმუშავია. იგი, დროებით, აველანედას „რასინგს“ თავკაცობდა.

ბრაზილიური „კრუზეიროს“ შემტევ ნახევარმცველ კერლონის ყიდვას „მანჩესტერ იუნაიტედი“ აპირებს. 18 წლის ფეხბურთელის ფასი დაახლოებით 6 მილიონი გირვანქაა.

გერმანულმა „ვოლფსბურგმა“ „ლევერკუზენიდან“ იაკუბ კრჟინოვეკი იყიდა. 29 წლის პოლონელმა „მგლებთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

იტალიური „უდინეზე“ სერბ ალექსანდრ ლუკოვიჩით გაძლიერდება. 23 წლის მცველის „ცრვენა ზვეზდიდან“ „ფრიულიზე“ გადასვლა ოფიციალურად ზაფხულში გაფორმდება. ამბობენ, უდინელები მასში 4 მილიონ ევროს გადაიხდიანო.

ფრანგულმა „ლილმა“ თავდასხმა გვინეელი სულეიმან იულათი გააძლიერა. კლოდ პუელის შეგირდებმა თურქულ „ბეშიქთაშს“ მასში 1,6 მილიონი ევრო გადაუხადეს და იულასთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

გერმანულმა „შტუტგარტმა“ „სტრასბურიდან“ ალექსანდერ ფარნრუდი შეიძინა. ბუნდესლიგელებმა 22 წლის შვეიდში 2,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. ჰერსპექტიული ფეხბურთელი „შტუტგარტში“ 2010 წლამდე დარჩება.

თურქული „სივას“ მწვრთნელმა ვერნერ ლორანტმა აღნიშნა, რომ მომავალ სეზონში ვუნდს აღარ გაწვრთნის და ახალ სამუშაოს ეძებს. გერმანელმა კლუბი მერვე ადგილზე გაიყვანა, მაგრამ დარჩენა იუარა.

ესპანური „რეალის“ იტალიელ ლეგიონერ ანტონიო კასანოს აგენტმა ჯუზეპე ბოტომ აღნიშნა, რომ „ხულიგანი“ პირინეებზე რჩება. მისი თქმით, ჭორები, კასანოს სამშობლოში, კერძოდ, „ინტერსა“ ან „იუვენტუსში“ შესაძლო დაბრუნების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. ანტონიოს სურს, კარიერა ესპანეთში გააგრძელოს.

ფრანგულმა „სოშომ“ ახალ მწვრთნელად ალან პერინი დანიშნა. 49 წლის სპეციალისტი, რომელიც ადრე „პორტსმუთს“ თავკაცობდა, კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. მან ამ პოსტზე ცოტა ხნის წინ გაშვებული ლომინიკ ბიეუტა შეცვალა.

რაიკარდის მარჯვენას აიაქსი ჩააბარეს

ჰენკ ტენ კატი

ამსტერდამის „აიაქსის“ მწვრთნელად გუშინ ჰენკ ტენ კატი დანიშნეს, რომელიც „ბარსელონაში“ ფრანკ რაიკარდის თანაშემწედ მუშაობდა.

ამსტერდამში დაბადებულმა 51 წლის ტენ კატამ დენი ბლინდი შეცვალა, რომელმაც „აიაქში“ 14 თვე იმუშავა რონალდ კუმანის წასვლის შემდეგ. კლუბის განცხადებით, ახალმა მწვრთნელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დენი ბლინდს წყალი აპრილის ბოლოს შეუდგა, როცა მისი საკითხი განიხილეს და დირექტორატის წევრთა უმრავლესობამ ბლინდის გაშვებას დაუჭირა მხარი. „აიაქსი“ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა და პირველადგილოსან პსვ-ს 24 ქულით ჩამორჩა, მაგრამ ჰოლანდიის თასიც მოიგო და პლეი ოფში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურიც მოიპოვა. დენი ბლინდი იყო იმ „აიაქსის“ კაპიტანი, რომელმაც 1995-ში ჩემპიონთა თასი აღმართა.

კარლუშ კონტრაქტუში

მადრიდის „რეალის“ ყოფილმა თავკაცმა კარლუშ კეირუშმა ლისაბონის „ბენფიკასთან“ გააფორმა კონტრაქტი. სეუ კარლუში თანამემამულე „არწივებს“ მომავალი ორი სეზონის განმავლობაში უხელმძღვანელებს. პორტუგალიელის სამშობლოში დაბრუნების ამბავი კი მსოფლიოს, იქაურმა ტელევიზიამ SIC NOTICIAS-მა ამცნო.

როგორც ლუზიტანური მედია ამბობს, „ბენფიკას“ წარმომადგენლები კეირუშს ლისაბონში, სასტუმროში შეხვედრიან და კონტრაქტზეც იქ მოუწერიათ ხელი. შეგახსენებთ, რომ კარლუშ კეირუში აქამდე „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ მუშაობდა.

პორტუგალიელი „ბენფიკაში“ რონალდ კუმანს შეცვლის. ჰოლანდიელმა „ეშტადიუ და ლუჟზე“ მწვრთნელობას, შინ, პსვ-ში დაბრუნება არჩია.

კეირუშმა პორტუგალიის 21-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა 1991-ში, შემდეგ კი 1991-დან 1993 წლამდე ქვეყნის ძირითადი ნაკრების მეთაურიც იყო.

ლადო ხომერიკი

ჩაწყობლანდია

მატჩების ჩაწყობის შესახებ ჰოლანდიაშიც ალაპარაკდნენ. ამ ამბავში ერედივიზიონის სამი კლუბია ეჭვმიტანილი — „დენ ჰაგი“, „ტილბურგი“ და „უტრეხტი“. გამოძიება უკვე დაიწყო და გამორიცხული არ არის, მალე სხვა გუნდებიც ამოტივტივდნენ, რასაც, ალბათ, არაერთი ფეხბურთელის თუ ჩინოვნიკის დასჯა მოჰყვება.

სკანდალი „დე ტელეგრააფის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ცნობების შემდეგ აგორდა. ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ მატჩების ჩაწყობის დამადასტურებელ მასალებს ფლობენ. ამ საქმეში მეორე დივიზიონის ფეხბურთელებიც ყოფილან გარეულნი და თუ ეს ყველაფერი დადასტურდა, ჰოლანდიაშიც არანაკლები სკანდალი ატყდება, როგორიც გერმანიაში და ბელგიაში იყო, ხოლო იტალიაში ახლაც არის.

როგორც ირკვევა, ფეხბურთელები აწყობდნენ თამაშებს, რათა ფინანსური სარგებელი ენახათ. ამაში სულ ცოტა, ხუთი არალეგალური საბუქმეიკერო კანტორა ყოფილა გარეული. საქმეში კი საერთო ჯამში არც მეტი, არც ნაკლები, 40 მილიონი ევრო დატრიალებულა. მეტი ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. სხვა დეტალები გამოძიებისათვის მალე გახდება ცნობილი.

კოკი კანდელაკი

ბებერი ხარი მოჯამარიგედ მუშაობს

პირველი ნიგერიელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გაიტანა



რამდენიმე წლის წინ ნიგერიაში ქვეყნის ისტორიის უდიადეს ადამიანთა ჩამონათვალი შეადგინეს და ამ ჩამონათვალში 69-ე ადგილი დანიელ ამოკაჩიმ დაიკავა. როგორია? გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, აქ ნიგერიული ფეხბურთის ისტორიაზე კი არა, მთელი ქვეყნის ისტორიაზეა საუბარი.

ამოკაჩის კარგად იცნობენ ბელგიაში, ინგლისსა და თურქეთშიც. ამ ქვეყნების ქომაგებს კარგად ახსოვთ საინტერესო ხასიათის, ლამაზი ფეხბურთის მოთამაშე და გადამწყვეტი გოლების გატანაში გაწაფული ფეხბურთელი, რომელიც თამაშობდა „ბრიუგეში“, „ევერტონში“, „ბეშიქთაშში“, „კრეტეისა“ და „კოლორადო რაპიდზში“. ამერიკაში ცხოვრების დროს ამოკაჩიმ ნიუ იორკის სასნავლებელი დაამთავრა და ვექილი გახდა.

მას ცოლად ტუნისელი სუპერმოდელი ნადია ჰყავს და ორ შვილს შეჰხარის. შვილები ტყუპები არიან, ბიჭები. ისინი მაშინ დაიბადნენ, დანიელი „ევერტონში“ რომ თამაშობდა.

დღეს ამოკაჩი მწვრთნელად მუშაობს, ეს ინტერვიუ კი ფიფას ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა

— კარგა ხანია, ნიგერიის გარეთ თქვენს შესახებ არაფერი გვსმენია. როგორ ბრძანდებით, რას მოღვაწეობთ?

— ბედნიერი ვარ, თავს ჩინებულად ვგრძნობ, მწვრთნელი გახლავართ და მართალია, ბურთს აღარ დავდევ, მაგრამ მაინც ფეხბურთში ვარ.

— როდის და რატომ დაასრულეთ ფეხბურთელის კარიერა?

— 1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში მუხლმა შემაწუხა და მას მერე ორი სეზონის განმავლობაში თავს კარგად ვეღარ ვგრძნობდი. სწორედ მაშინ მირჩიეს ექიმებმა ფეხბურთელობაზე ხელის აღება. მერწმუნეთ, ძალიან მინდოდა კვლავ მეთამაშა, მაგრამ მტკივანი ფეხით ისე, როგორც მე მინდოდა, ამას ვერ შევძლებდი. ერთი სიტყვით, 2001 წელს ბოლო თამაში ჩავატარე და წავედი.

— დიდებული კარიერა განვლეთ, გყავდათ უამრავი ერთგული ქომაგი, რომელთაც უმნიშვნელოვანესი წარმატებებით დაამახსოვრეთ თავი. ახლა ყველაზე მეტად რა გახსენდებათ?

— ის დღე, როდესაც პირველად ჩავიცვი ნიგერიის ნაკრების მაისურა, პირველი გოლი მსოფლიოს ჩემპიონატზე, 94-ში ბერძნებს რომ გავუტანე. მახსოვს, მსაჯმაც კი მომილოცა. კიდევ, 1995 წელს, „ევერტონში“ რომ ვთამაშობდი, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ტოტენჰემს“ ვხვდებოდით და სათადარიგოთა სკამიდან თამაშში გვიან ჩართულმა ორი გოლი გავიტანე. იმავე წლის ფინალში „უემბლიზე“ „მანჩესტერ იუნაიტადი“ დავამარცხეთ და ჯილდო დავისაკუთრეთ. მახსოვს ის სიხარული, 1996 წელს ოლიმპიადის მოგებამ რომ მოგვიტანა. მე გახლდით პირველი ნიგერიელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გოლი შეაგდო... ამ მატჩების ჩანაწერები მაქვს და სიამოვნებით ვუყურებ ხოლმე. მაღლობა უფალს თითოეული ამ დღისთვის.

— თქვენს ყველაზე ცუდ მოგონებასაც ხომ არ გაგვიმხელდით?

— ყველაზე ცუდი იყო დღე, როდესაც ექიმებმა მითხრეს, რომ ფეხბურთისთვის თავი უნდა დამენებებინა.

— თქვენ გითამაშიათ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, კეთილ, ბელგიაში, ინგლისსა და თურქეთში. რომელი მათგანი გახსოვთ ყველაზე კარგად?

— „ბრიუგეშიც“ კარგად ვთამაშობდი, მაგრამ საუცხოო დრო ინგლისში გავატარე. იქ დავქორწინდი, იქ შემეძინა ტყუპები, „ევერტონმა“ ასოციაციის თასი მოიპოვა... კარგი იყო თურქეთშიც. მოკლედ, ყველა ქვეყანაში, სადაც კი ვიცხოვრე, თავს კარგად ვგრძნობდი და რაც მთავარია, ფეხბურთის თამაში მანიჭებდა უდიდეს სიამოვნებას.

— ხარი რატომ შეგარქვეს?

— თამაშის სტილის გამო. ხალხი მეუბნება, ისე თამაშობდი თითქოს შენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდაო. არასდროს ვიღლებოდი, მოედანს წინ და უკან ვსერავდი. თუ ბურთს ვფლობდი, ღონის გამო ვერ მართმევდნენ. ამიტომაც შემარქვეს ხარი.

— ერთი თვის წინ ნიგერიის 23 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად გნიშნავდნენ, მაგრამ მერე თქვეს, რომ მთავარი ნაკრების მწვრთნელის ასისტენტად ურჩევნიხართ. ბოლოს და ბოლოს, რომელ საქმეს ჩაგაბარებენ?

— მე მოჯამაგირე ვარ და ველი რას დამავალებენ. ფედერაციას სურს რაც შეიძლება მეტად ჩამრთოს საქმეში, თუმცა, რაც არ უნდა დამავალონ, ჩემი ქვეყნისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

— ნიგერიაში ყოფილ მოთამაშეთა მთელი არმია მუშაობს სხვადასხვა რანგის ნაკრებთა შტაბებში, მაგრამ მათ უმეტესობას სამწვრთნელო ლიცენზია არ აქვს. როგორ ფიქრობთ ასე შეიძლება?

— იცით, მწვრთნელობას ყოფილ ფეხბურთელობაზე მეტი სჭირდება. მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ ყოველგვარი კურსების გარეშე გაართვან თავი ურთულეს საქმეს. პირადად მე კურსებმა, რომლებიც გავიარე, მეტი რომ არ შეიძლება ისეთი დიდი სამსახური გამიწია. სულ იმას ვცდილობ, ყოფილ თანაგუნდელებს, რომელთაც მწვრთნელობისადმი ინტერესს ვამჩნევ, სასწავლებლისკენ ვუბიძგო.

— როგორ ფიქრობთ, ვინ არის საუკეთესო აფრიკელი ფეხბურთელი?

— სიამოვნებით ჩამოვთვლი რამდენიმე დიდებულ ფეხბურთელს. „ბარსელონაში ჩინებულად თამაშობს სამუელ ეტოო, „ჩელსიში“ დიდიე დროგბა ბრწყინავს, ფანტასტიკურები გახლავან ობაფემი მარტინსი და მიკაელ ესიენიც და გარდა ამისა, შეიძლება ბევრი ისეთი აფრიკელი მოთამაშის ჩამოთვლა, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ გუნდში ჩაეწერებოდნენ. და მანიც, თუ ერთის ამორჩევას მთხოვთ, ეტოოს დაგისახელებთ. ის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელადაც აირჩევენ.

— რასიზმი კი, ალბათ, ძალიან გიტეხავთ გულს.

— ცხადია. რასიზმი დიდი ხნისაა და მწამს, იგი მრავალ აფრიკელ და აზიელ ფეხბურთელს შეხებია, მაგრამ მაინც უნდა ვძლიოთ მას. რასიზმი აღარ უნდა არსებობდეს.

— და ბოლოს, ტყუპები თუ თამაშობენ ფეხბურთს?

— დიახ, თამაშობენ და თან მამაზე გაცილებით უკეთესად. მე მათ ასაკში ასე ტექნიკური არ ვიყავი, თუმცა საბოლოოდ ფეხბურთელები გახდებიან თუ არა, მათი გადასაწყვეტია. მე მათ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარს დავუჭერ.

მანჩინის ჩინი შეუნარჩუნეს

„ინტერის“ მწვრთნელი მომავალ სეზონშიც რობერტო მანჩინი იქნება. ამბობდნენ, ფაბიო კაპელო გახდება „შავ-ლურჯა“ თავკაცი, მაგრამ მილანურმა კლუბმა დაადასტურა — მანჩინი რჩება.

„ამას წყალი არ გაუვა. მანჩინი კვლავაც „ინტერში“ იმუშავებს — განაცხადა კლუბის პატრონმა მასიმო მორატიმ — ოღონდ მას უფრო გულიანად მოუწევს გარჯა. რობერტო დიდებული ადამიანია და მთავარიც ესაა. რაც შეეხება კაპელოს, ბრწყინვალე მწვრთნელია. მან ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში გამარჯვების შემდეგ თქვა, „იუვენტუსიდან“ არ მივდივარო. მის ადგილზე ყველა ასე იტყოდა“.

რობერტო მანჩინი „ინტერში“ 2004 წელს „ლაციოდან“ მივიდა და ორი წლის განმავლობაში „შავლურჯებს“ ორჯერ მოაგებინა იტალიის თასი.

„ინტერის“ პირველი სამომავალსეზონო შენაძენი ოლივიე დაკური გახდება. „რომას“ ფრანგ ნახევარმცველს კლუბთან კონტრაქტი ივნისში უმთავრდება და თავად განაცხადა: „რამდენიმე იტალიური კლუბიდან მომივიდა შემოთავაზება, მაგრამ მე „ინტერში“ გადასვლას ვაპირებ. ეს გუნდი ამბიციურია. ჩემი წასვლის თაობაზე უკვე ვესაუბრე „რომას“ ბოსებს. მადლობა პრეზიდენტ ფრანკო სენსის და მწვრთნელებს გაწეული ამაგისთვის.“

გიორგი კაკაბაძე

კაკაგოლი

ცნობილი გახდა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომელთა გოლებიც უეფამ ჩემპიონთა ლიგაზე საუკეთესოებად აღიარა. პირველი ადგილი „მილანის“ ნახევარმცველ კაკას ერგო. ბრაზილიელმა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში „ფენერბაჰჩეს“ კარი ორჯერ დალაშქრა.

საუკეთესოდ სწორედ კაკას მიერ „ფენერთან“ გატანილი მეორე გოლი მიიჩნიეს. მეორეზეც ბრაზილიელი გახლავთ, ფენერელი ალექსი, რომელმაც ჯგუფში პსვ-ს ეშხიანი გოლი შეუგდო.

მესამე ადგილზე „ბენფიკას“ მანუელ ფერნანდეშია „ვილიარეალის“ კარში გატანილი გოლით. არსენალელი ჯადოქარი ტიერი ანრი ათეულში ორჯერ მოხვდა — „სპარტასა“ და „რეალის“ გამწარებისთვის. ამათ გარდა ტოპათეულში არიან: ალმეიდა (პორტუ), სამუელ ეტოო (ბარსელონა), მიხაელ ბალაკი (ბაიერნი), ფრედი (ლიონი) და ლუდოვიკ ჟიული (ბარსელონა).

ლადო ხოფერია

სარგებელი ᲓᲐ კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. ჩემპიონატი(ნ)								
21 მაისი								
18:00	263	ლიესი-უოტფორდი	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38
ინგლისი. კონფერენსი(ნ)								
20 მაისი								
20:30	264	პერეფორდი-პალიფაქსი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)								
20 მაისი								
16:00	5	კარლ ცაისი-ლიუნებურგი	1.50	3.40	5.50	1.04	1.17	2.10
16:00	6	პერგა(მ)-ლოკერენი(მ)	2.50	3.20	2.35	1.40	1.21	1.35
16:00	7	კილი-ლიუბეკი	2.30	3.30	2.55	1.35	1.20	1.43
16:00	8	კიელი(მ)-ჰამბურგი(მ)	4.70	3.50	1.55	2.00	1.16	1.07
16:00	9	ძიენსტერი-ვეჰენერეული	1.45	4.00	5.30	1.06	1.13	2.27
16:00	10	ოსნაბრიუკი-ეტცენი	2.00	3.20	3.10	1.23	1.21	1.57
16:00	11	ეხენი-ეენდერი(მ)	1.60	3.20	5.00	1.06	1.21	1.95
16:00	12	ვოლფსბურგი-ერფურტი	1.90	3.20	3.45	1.19	1.22	1.66
გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)								
20 მაისი								
16:30	13	ბაირაკი-აუგსბურგი	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
16:30	16	ლაუტერნი(მ)-ბაიერნი(მ)	1.65	3.50	4.00	1.12	1.16	1.86
16:30	17	კარლსრუე(მ)-კიცერი	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
16:30	18	მეტალისტი-ეკერნბერგი	1.40	3.80	5.90	1.02	1.13	2.31
16:30	19	შეკენდორფი(მ)-პოფენჰაიმი	2.10	3.10	2.90	1.25	1.21	1.49
16:30	20	ტრიერი-ფულენდორფი	2.25	3.30	2.55	1.33	1.19	1.43
16:30	21	ვეენი-დარმშტადი	1.90	3.30	3.20	1.20	1.19	1.62
იტალია. სერია B								
21 მაისი								
17:00	32	ალბინოლეფე-კრიტონე	2.20	2.80	3.20	1.23	1.30	1.49
17:00	33	არეკი-ნეფენა	2.20	2.70	3.30	1.21	1.32	1.48
17:00	34	აველინო-ვიბენტა	1.80	2.80	4.40	1.09	1.27	1.71
17:00	35	ბრეშია-ტორინი	2.55	2.90	2.60	1.35	1.28	1.37
17:00	36	კატანზარო-კატანია	10.00	5.00	1.20	3.33	1.07	1.00
17:00	37	კრემონეზე-ტერნანა	5.40	3.40	1.55	2.08	1.20	1.06
17:00	38	მიდენა-პიაჩენცა	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
17:00	39	პეტარა-ატალანტა	2.85	2.30	2.70	1.27	1.38	1.24
17:00	40	რიმინი-ბოლონია	2.35	2.90	2.85	1.29	1.28	1.43
იტალია. სერია C პლეი ოფი								
21 მაისი								
18:00	440	სანკოვანეზე-ფერეზინონე	2.15	2.50	3.80	1.15	1.37	1.50
18:00	441	ფრეზენეტო-ტორეზი	2.15	2.50	3.80	1.15	1.37	1.50
იტალია. სერია C პლეი აუტი								
21 მაისი								
18:00	442	ლუტეტანე-სამბენედეტეზე	2.05	2.50	4.10	1.12	1.36	1.55
18:00	443	სან მარინო-პრიო სეტტო	2.10	2.50	4.10	1.14	1.38	1.55
18:00	444	სტაბია-აკირეალე	2.00	2.50	4.20	1.11	1.35	1.56
18:00	445	ფანეზე-პისა	2.05	2.50	4.00	1.12	1.35	1.53
ესპანეთი. I დივიზიონი								
20 მაისი								
23:00	45	ბილბაო-ბარსელონა	2.10	3.50	3.00	1.31	1.23	1.61
ესპანეთი. II დივიზიონი								
20 მაისი								
20:30	56	სიუდადი-ფერეოლი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
20:30	57	ეიბარი-ლე



ბადრი კვითელაძის ფოტო

ჩემი ყველაზე დიდი VICTORIA

ამირან ჯიოშვილი ფხიზელი ჯაცია: ფრანგებსაც ჯი ქართულ ღვინოს ასმევს

— ის ოთხი ნომერი იცი, ვინ არის?

— ვინ?

— ვინ და ვიქტორია რავას ქმარია, აი, იმის, ძალიან მაგრად რომ თამაშობს. „კანში“ არის ახლა და გუნდის კაპიტანია. ეს დიალოგი ახლახან სპორტის სასახლეში მოვისმინე, როდესაც საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირს მატჩში შვედეთთან აგებდა. ჩვენებმა ის მატჩი საბოლოოდ 0:3 წააგეს, მაგრამ ნებისმიერი შეამჩნევდა, რომ ქართველთაგან ყველაზე გამორჩეული სწორედ ოთხი ნომერი იყო. 30 წლის ამირან ჯიოშვილს აქამდე ფართო წრეებში იცნობდნენ, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფრენბურთელი ქალის, გლდანში დაბადებულ-გაზრდილი ვიქტორია რავას მეუღლეს. არადა, ამასთან ჯიოშვილი ფრანგული „ნიცას“ ლიდერი და ახლა უკვე ხელმეორედ დაბადებული საქართველოს ნაკრების კაპიტანია. ჯიოშვილთან ინტერვიუ რამდენჯერმე გადაგვედო. ერთი წლის უნახავ ახლობელ-ნათესავებში დაგვეკარგა და თბილისში ყოფნისას მეგობრის შვილის მონათვლაც მოასწრო. შვედეთთან საპასუხო მატჩის წინ კი გამგზავრებამდე ჩვენთვისაც მოიცალა. მასთან ინტერვიუ სწორედ ამ მატჩით დავიწყეთ

— არა მგონია, რომ შვედეთში უშანსოდ მივდიოდეთ. მართალია, აქ 0:3 წავაგეთ, მაგრამ მთლიანობაში სეტური ჯამით 10 ქულას ვაგებთ. ამ ჩამორჩენის გაბათილება ძალიან ძნელია, თუმც შეუძლებელი არაფერია. რაც მთავარია, ნაკრები ეტაპობრივად ყალიბდება. ძნელია ერთი-ორი მატჩით გუნდს საბოლოო სახე მისცე. თუმც ჩვენ შემთხვევაში პროცესი დაჩქარებულად მიდის. ბიჭებიც მონდომებულები არიან, ნელ-ნელა ერთ გუნდად ვიკრებით, მალე თურქი გამთამაშებელი მერთი ელითეზიც დაგვემატება და საქმეც წინ წავა. ახლა მთავარია, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას დამატებითი ფინანსები გამოუჩნდეს ნაკრების შეკრებებისთვის, ამხანაგური მატჩებისთვის... შვედეთის დღევანდელი ნაკრები ოთხი-ხუთი წელი ყალიბდებოდა, არ აკლდა არაფერი და დამსახურებულად მოგვიგეს კიდეც. მაგრამ ვისაც ფრენბურთი ესმის, ვერ იტყვის, რომ ჩვენ ვერ ვითამაშეთ, პირიქით, ყველა სეტში ბოლომდე ბრძოლა იყო.

— დიდი შანსია, რომ შვედეთთან საპასუხო მატჩიც წააგოთ და გაისამდე ნაკრებია აღარ შეიკრიბოს. ამხელა შუალედი ცუდად არ იმოქმედებს?

— ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენს ფრენბურთში მეტი ფული უნდა ჩაიდოს. პაუზა ნაკრებს არ უნდა დაეტყოს. არის რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი, სადაც დაფინანსების შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს შეუძლია, რომ ითამაშოს და გამოცდილებაც მიიღოს. ამასთან გუნდი შეთამაშდება და შეიკვრება. ახლა მთავარია, მომავალი წლიდან პეკინის ოლიმპიადის საგზურისთვის ვიბრძოლოთ, ოლიმპიადაზე აუცილებლად უნდა ვითამაშოთ.

— ადრე იყო საუბარი, რომ ჩვენი ფრენბურთის ფედერაცია უცხოელებისთვის აპირებდა საქართველოს მოქალაქეობის მიცემას და ამ საქმეში შენც იყავი ჩართული. სიახლე არის?

— დიახ, იყო ამაზე საუბარი და ახლაც მიმდინარეობს შესაფერისი მოთამაშეების შერჩევა. თურქი მერთი ელითეზი ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა ირაკლი ჩაჩუამ ჩამოიყვანა. მეც ვარჩევ მოთამაშეებს. საფრანგეთში მეგულება ორი-სამი ნორმალური დონის ფრენბურთელი, ვინც საქართველოს ნაკრებში თამაშს დათანხმდება. ამ საკითხს დრო და სერიოზული ფიქრი სჭირდება.

— როგორც ვიცით, შენი და საფრანგეთში თამაშობს. საქართველოს ქალთა ნაკრებში შეძლებს თამაშს?

— მარინა ჩემს მეუღლესთან არის კანში და სამოყვარულო დონეზე თამაშობს. მისი მთავარი საზრუნავი სწავლაა, თუმც მალე დამთავრებს უნივერსიტეტს და სერიოზულადაც ივარჯიშებს.

— როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრებისთვის მზადაა?

— არ ვიცი, ქალთა ფრენბურთში ცუდად ვერკვევი. ვხუმრობ, რა თქმა უნდა. ვნახოთ, მარინა ჯერ 20 წლისაა. სწავლას მორჩება და თუ სერიოზულად გადაწყვეტს ფრენბურთის თამაშს, ყველაფერი წინ აქვს. თანაც „კანში“ ვიკას მეთვალყურეობით ვარჯიშობს და სასარგებლო რჩევებიც არ მოაკლდება. საერთოდ, საფრანგეთში ძალიან განვითარებულია სელექცია. მწვრთნელები დადიან და სამოყვარულო გუნდებში ეძებენ 13-14 წლის ბავშვებს. „კანის“ მწვრთნელიც ასეა, სულ ტალანტებს ეძებს. ახლაც ვიკამ მითხრა, „კანის“ საფრენბურთო სკოლაში უპოვია ისლანდიელი 13 წლის გოგო, რომელიც თურმე სასწაულებს აკეთებს. არადა, ისლანდიაში, მგონი, ფრენბურთის აზრზე არ არიან.

— სხვათა შორის, ისლანდიაში შენი ქვისლი ხელბურთელი როლანდ ერაძე ცხოვრობს. მასზე კარგა ხანია არაფერი გესმენია...

— როლანდი ისლანდიაში ძალიან პოპულარულია. როგორც იცით, იქაური მოქალაქეა და ათენის ოლიმპიადაზე ისლანდიის ნაკრების მთავარი მეკარეც იყო. საკლუბო დონეზეც წარმატებულად თამაშობს და არაფერი უჭირს.

— ბოლოდროს მეუღლესთან ერთად კანის კინოფესტივალის საპატიო სტუმარი ხარ. წლეულს, ალბათ, ვერ დაესწრები.

— სამწუხაროდ, ასეა. 2 ივნისს ჩავალ და ვერ ჩავასწრებ. ვიკა კი ნაღდად არ გააცდენს. მართლა მაგარი ფესტივალია. მსოფლიოს ბომონდი იკრიბება, რომ აღარაფერი ვთქვა ჰოლივუდის ვარსკვლავებზე.

— ვინმეს გაცნობა თუ მოასწარი?

— ბრიუს უილისი და ვესლი სნაიპსი გავიცანი ფესტივალის დახურვის ბანკეტზე. კაი ნახევარი საათი ვისაუბრეთ. ყველაზე მაგარი ამბავი ბანკეტის მეორე დილით მოხდა. პლაჟთან ერთ ჩვეულებრივ კაფეში კლინტ ისტვუდი შევიდა. ცილინდრი ჩამოიფარა და ყავის სმით თავისთვის კითხულობდა გაზეთს. საათნახევარი მაინც იჯდა და ვერავინ შეამჩნია. მერე მიმტანმა გოგომ იცნო და ატყდა ერთი ამბავი. ხალხის ალყაში მოექცა და ძლივს მიაღწია სასტუმრომდე. მერე იმახდა, ერთ უბრალო კაფეში ყავის დალევა მომენატრა და ისიც არ მაცალესო. საერთოდ, ვარსკვლავების უმეტესობა ძალიან უბრალო ადამიანია. ბანკეტზე ოფიციალური აღარ უჭირავთ და გათიშვამდე სვამენ. ახლაც რომ მახსენდება კანის კინოფესტივალის ბანკეტი, ცუდად ვხდები.

— ალკოჰოლთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— რომი და ლუდი მიყვარს ძალიან. ოღონდ როდესაც სეზონი გვაქვს, თავს ვიკავებ. წარმოიდგინეთ, ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე ნონ-სტოპის რეჟიმში ვართ, მხოლოდ ახალ წლებზე და აღდგომას ვისვენებთ ორი-სამი დღით.

— ღვინო არ გიყვარს?

— რომელ ქართველ კაცს არ უყვარს ღვინო? გამორჩევით კი ხვანჭკარა და წითელი ბორდო მომწონს.

— ნიცაში იყიდება ქართული ღვინო?

— მხოლოდ. რუსულ რესტორნებში და მარკეტებში. ქართული რესტორანი ან მაღაზია ნიცაში არ არის. საერთოდ, ფრანგებს ღვინის მონოპოლია აქვთ. იშვიათად, დახლზე სხვა ქვეყნის ღვინო გაჯაჭანონ. იტალიელებს უშრობენ სისხლს, იმათ ღვინოს არ აფასებენ. სულ იძახიან ჩვენი ჯობიაო. საქართველოდან სულ მიმაქვს ათი ბოთლი ხვანჭკარა, ხან ნათესავებს ან მეგობრებს ჩამოაქვთ. ფრანგებს ქართული ღვინის და ვაზის ისტორიას ვუყვები. ისინიც მისმენენ და ხვანჭკარას სიამოვნებით აგემოვნებენ.

— თუ ნიცაში ქართული რესტორანი არ არის, გამოდის, ქართულ კერძებს მონატრებული იქნები.

— არც მასეა საქმე. ჩემი მეუღლე უგემრიელეს ხაჭაპურს, საცივს, ნიგვზიან ბადრიჯანსა და ფხალეულს აკეთებს. საერთოდ, გურმანი ვარ, თითქმის ყველა ქვეყნის სამზარეულო მომწონს. ვიკას ჩინელი მწვრთნელი კვირაში ერთხელ მაინც გვიმასპინძლდება ჩინური კერძებით. ძალიან მეგობრული კაცია. სხვათა შორის, არც ხინკალი მაკლია და არც ქაბაბი.

— თვითონ ამზადებ?

— არა. საფრანგეთში ზოთამაშე ქართველ მორაგბეებს დავუმცაცდი. ერომანეთის თამაშებს არ ვაცდენთ. როცა დრო გვაქვს, პლაჟის ფრენბურთს ვთამაშობთ ხინკალზე და ქაბაბზე. ილო მაისურაძე, მამუკა გორგოძე, მალხაზ ურჯუკაშვილი და მე ვიკრიბებით და ფრენბურთს ვუბერავთ. ილო მაისურაძე აკეთებს მაგარ ქაბაბს და ხინკალს.

— საქართველოში მცხოვრები ქართველები არ დადიან შენს მატჩებზე?

— მორაგბეების გარდა არავინ მინახავს. ჩვენი მორაგბეები ჯიგრები არიან. მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავლენ, მაგათ მატჩს არ გავაცდენ. ფრანგები მამუკა გორგოძის ჯანით აღფრთოვანებულები არიან. მთელ რეგიონში გულაღმა მარტო ის წევს 145-კილოგრამიან შტანგას. „გულივერი“ შეარქვეს. ნაღდი ათლეტიაო, ამბობენ.

— ნიცაში გასართობს რა გამოლევს და თავისუფალ დროს სად ატარებ?

— თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, მაგრამ რაც მაქვს, ვცდილობ, მეუღლესთან და შეგობრებთან ერთად გავატარო. რესტორანში დავდივართ, სტუმრად ვეპატიჟებიან ხშირად. ბიჭებთან ერთად პლაჟის ფრენბურთს ვთამაშობ, დისკოთეკაზე ვიპარები ხოლმე.

— კაზინოში არ დადიხარ?

— არა, არ მიყვარს კაზინო.

— რატომ? აზარტული არ ხარ?

— აზარტული მე რომ ვარ, ისეთი უნდა, მაგრამ წაგება არ მიყვარს. კაზინოში რომ შედიხარ, უკვე წაგებული ხარ. მირჩევნია, ის ფული მეგობრებში დავხარჯო.

— ჩვენ არქივში გვაქვს ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილია საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან მიწვევაზე ყოფი შენი მეუღლე თავის გუნდთან ერთად, შენ ახლდი შეხვედრაზე?

— არა, მე დაპატიჟებული არ ვიყავი. ის ფოტოები კი ოთხი წლის წინაა გადაღებული, როცა „კანმა“ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. ეს იყო პირველი ტიტული, რომელიც ფრენბურთში ქალთა ფრანგულმა გუნდმა მოიგო.

— ისე, შენი მეუღლე რომ უფრო პოპულარულია, დამეთანხმები. ოთხთა ფინალის პირდაპირი რეპორტაჟისას კადრში გამოჩნდი. კომენტატორმა თქვა, რავას ქმარიაო. არ გწყინს ხოლმე, როდესაც ვიქტორია რავას ქმრად გიცნობენ?

— არა, ჩემი მე გამაჩნია და ერთი წუთითაც არ მწყინს. ჩვენ სამაგალითო ოჯახი გვაქვს და ღღეში რამდენჯერმე ვურეკავთ ერთმანეთს. ისე, საკითხავია, ახლა ვინ უფრო მაგარია, მე ხომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარ!

ბაჩო სვანიძე

საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი. მესამე ადგილისთვის

ნუგზარ ჭეიშვილი თავისი გუნდის წუთშესვენებას თვალს შორიდან ადევნებდა

სტუდენტური მატიანე
სტუ-მ თსუ ტექნიკურად დაანოკაუტა

19 მაისი. ვერის ბაღი

სტუ 2:2 თსუ-ნიკორა

სტუ 94:91 თსუ-ნიკორა

ძირითადი დრო 85:85

26:16 16:30 15:16 28:23 9:6

სტუ: მიქაძე, (9), ხეცურიანი (19), ლოსაბერიძე (10), შანიძე (21), მათიაშვილი (11); კეიდია (12), კოხრეიძე (6), ახალკაცი (4), გაგნიძე, ქისტაური (2)

თსუ-ნიკორა: ვეფხვაძე (4), ლეჟავა (18), ფანჩულიძე (14), ბეჟანიშვილი (13), მუშკუდიანი (6); ი. ბერიშვილი (12), მარხვაშვილი (11), დიდია (11), სანიკიძე, კეშელავა (2),

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ირაკლი პერტაია

საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მებრძოლი გუნდის პრიზი რომ თამაშდებოდეს, მას უეჭველად სტუ დაეპატრონებოდა. ამ უხელფასო და სხვა მეპლეიოფეებთან შედარებით მოკრძალებული შემადგენლობის გუნდმა „ავიამშენს“ ხომ სისხლი გაუშრო ნახევარფინალში, სერიის 2 მატჩი მოუგო და ახლა „თსუ-ნიკორას“ გაუჭირა საქმე, ბრინჯაოს არ ანებებს.

გუშინ სტუ-მ თსუ-ს მოუგო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მოგებაცაა და მოგებაც. ტექნიკოსებმა ისეთ თამაშში იმარჯვეს, ნორმალური დონის ჩემპიონატში რომ მოეხერხებინათ, ალბათ, საკალათბურთო მატიანეში შევიდოდნენ.

ძირითადი დროის ბოლო ხუთი და ოვერტაიმის ამდენივე წუთი სტუ-მ უმწვრთნელოდ ჩაატარა, რომ არაფერი ვთქვათ გუნდის უთუმცაო ლიდერ შიო ხეცურიანის გაგდებაზე სწორედ იმ მომენტში, როცა ძირითად დროში თამაშის ბედი წყდებოდა.

... ბოლო მეოთხედის მეხუთე წუთი მიმდინარეობდა, თსუ 71:70 იგებდა და ტექნიკოსთა ფარქვეშ შეჭრილ რევაზ დიდიას რიჩარდ მათიაშვილმა დაფარა. მსაჯებმა ჯარიმა აუღნიშნეს და სტუ-ს მწვრთნელიც აფეთქდა. ნუგზარ ჭეიშვილმა მსაჯების გინებისთვის ჯერ ერთი ტექნიკური დაიმსახურა, ამაზე გაცეცხლებულს მეორეც გამოუწერეს და მან ავტომატურად გასახდელში გადაინაცვლა, რაკი ორი ტექნიკური დისკვალიფიკაციას ნიშნავს.

დიდიაზე ჯარიმის 2 და ტექნიკურების 4 საჯარიმო სროლა, ამას ჩაროზად ბურთის ფლობის შენარჩუნება — აი, თსუ-ს ალაფი ამ ეპიზოდიდან და ამას დავამატოთ უთავკაცოდ დარჩენილი სტუ. ტექნიკოსებს შეცვლის გამკეთებელი და წუთშესვენების ამღები აღარ ჰყავდათ, თუმც ამ ამოცანას თავად მოთამაშეებმა გაართვეს თავი.

იმ 6 საჯარიმო სროლიდან თსუ-მ 4 გამოიყენა და 75:70 დაწინაურდა, თუმც ტექნიკოსებმა შესაშური კონსოლიდაცია გამოაცხადეს და ბრინჯაოს შანსს კბილებით ჩაებღაუჭნენ. შიო ხეცურიანი იყო ის მოთამაშე, რომელმაც მიჯრით 6 ქულა მიითვალა და იმ დისკვალიფიკაციიდან ზუსტად ორ წუთში სტუ დააწინაურა — 78:77.

მაგრამ სირენამდე 2 წუთით ადრე ხეცურიანი მე-5 შენიშვნას იღებს, სათადარიგოებს უერთდება და მწვრთნელის ფუნქციებსაც ითავსებს. ბოლო წუთებზე რაც მოხდა, ნებისმიერ დიდ მატჩს დაამშვენებდა. სტუ-მ ტაქტიკური ჯარიმებით იმდენი მოახერხა, რომ თამაში ოვერტაიმამდე მიიყვანა. ძნელია, ყველა ის მომენტი აღწერო, რომელიც ამ დროს გათამაშდა, თუმც ყველაზე საკვანძო ეპიზოდს ვერ გავექცევით.

სირენამდე 20 წამით ადრე მიხეილ ფანჩულიძე ორქულიანს აგდებს და თსუ-ს 84:82 აწინაურებს. საპასუხო შეტევაში ლოსაბერიძეზე ჯარიმდებიან. ლაშამ ძირითადი დროის დასრულებამდე 10 წამით ადრე მხოლოდ ერთ ჯარიმა გამოიყენა — 84:83 თსუ-ს სასარგებლოდ.

ტექნიკოსები ტაქტიკურად ჯარიმდებიან ირაკლი ბერიშვილზე, რომელმაც მანამდე 9 სროლიდან 7 ჩააგდო. ტყუპისცალი მოულოდნელად მხოლოდ ერთ ქულას მატებს თავისიანებს და სტუ-ს 6 წამში 2 ქულა რჩება გასაბათილები. წუთშესვენება, ჭეიშვილისგან მატოვებულ დაფაზე რაღაც კომბინაციის დახაზვა და ლოსაბერიძის მიერ სირენის თანხლებით გათანაბრებული ანგარიში — წინა მატჩის დარად ახლაც ოვერტაიმი.

დამატებით დროში არანაკლები დრამა გათამაშდა. ბოლო წუთამდე 5:4 იყო თსუ-ს სასარგებლოდ, მაგრამ მერე მათიაშვილმა და კეიდიამ უმნიშვნელოვანესი ორქულიანები მიითვალეს და 10 წამით ადრე სტუ 94:91 გალიდერდა.

დარჩენილ დროში თსუ-ელებმა ორჯერ მოასწრეს სამქულიანის სროლა, მაგრამ ვერც ლეჟავამ და ვერც მარხვაშვილმა მიზანს ვერ უწიეს.

ანგარიში 2:2 გახდა, ბრინჯაოს მატჩი კი კვირას 16 საათზე გაიმართება ვერის ბაღში.

დიჟონს გრაველინთან გრამი დაკარგა
ნაცვლიშვილი თბილისში და ნაკრებში ბრუნდება

გუშინწინ ვახტანგ ნაცვლიშვილისთვის სეზონი დასრულდა. მისმა „დიჟონმა“ „გრაველინთან“ მეორე საპლეიოფო შეხვედრაც წააგო და საფრანგეთის ოქროსთვის ბრძოლას გამოეთიშა. არადა, ნაცვლიშვილისთვის სეზონი თებერვალში დაიწყო, როცა ფილტვზე ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ექიმებმა მოედანზე გასვლის ნება დართეს. ამ სამთვენახევარში ვატომ ფორმის აღდგენაც შეძლო და ბოლო მატჩებში „დიჟონს“ არაერთხელ ულიდერა. „დიჟონის“ მოგებულ თასში მისი ოჟლიცაა ჩაღვრილი — ვატო მერვედფინალიდან მოყოლებული ეხმარებოდა თავისიანებს და ფინალში ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. ნაცვლიშვილი მალე დაბრუნდება თბილისში და ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგება, ხოლო სანამ ჩამოვიდოდეს, საპლეიოფო ამბებზე გავესაუბრეთ...

— საფრანგეთის თასი მოიგეთ და ცოტა მოულოდნელი იყო, პლეი ოფის პირველივე წრიდან რომ გამოვარდით...

— ზოგადად „გრაველინი“ „დიჟონზე“ სუსტი გუნდია, მაგრამ პლეი ოფში განსაკუთრებით მოინდომა. ყველაფერი პირველ, დიჟონურ მატჩში გადაწყდა, რომელიც სასწაულად წავაგეთ. ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 11 ქულას ვიგებდით, მაგრამ... „გრაველინმა“ ჩამორჩენის 3 ქულამდე შემცირება მოახერხა, სირენამდე კი 17 წამი რჩებოდა.

„გრაველინმა“ საჯარიმოების უფლება მოიპოვა, მაგრამ ერთი ჩააგდო და ტაქტიკურად დაჯარიმდა. ჩვენიანმაც მხოლოდ ერთი სროლა გამოიყენა და სირენამდე 6 წამით ადრე კვლავ 3 ქულას ვიგებდით. „გრაველინმა“ შემოგვიტია, ჩვენ კი განზრახ დავჯარიმდით, მეტოქეს 3-ქულიანი რომ არ ჩაეგდო, მაგრამ მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. გვარი არ მახსოვს, „გრაველინის“ გამორჩეული მოთამაშე იყო, რომელმაც პირველი ჯარიმა ჩააგდო და მეორე განზრახ ისე ააცილა, რომ რკალიდან ასხლეტილი ბურთი უკანვე მიუვიდა და ორქულიანით ანგარიში გავაიათანაბრა.

— ამის მერე ალბათ ოვერტაიმში გატყდით...

— სხვათა შორის, დამატებით დროში ძალების მობილიზება მოახერხეთ და ბოლო წუთზე ქულით დავწინაურდით კიდეც. ბოლო შეტევა „გრაველინის“ იყო და სირენის თანხლებით გამარვეების ბურთიც ჩაგვიგდო. დასანანი მარცხის შემდეგ ოთოჭის ყველაფერი გაირკვა, საპასუხო მატჩში სტუმრადაც წავაგეთ და ჩემპიონატს გამოვეთიშეთ.

— ახლა რას აპირებ?

— ალბათ, ერთ კვირაში თბილისში ვიქნები და დავისვენებ. მიუხედავად ხანგრძლივი უქმობისა, ბოლო თვეებში ფორმა სრულად აღვიდგინე და აღარ დამჭირდება ზაფხულში ვარჯიში. დავისვენებ და როცა სანაკრებო შეკრება მოატანს, მერე ცოტას წავივარჯიშებ, ფორმაში რომ შევხვდე გორდონ ჰერბერტს.

— სიტყვამ მოიტანა და ჰერბერტის საკლუბო საქმეები როგორაა?

— გადაწყვეტილია, რომ ის პარიზის „რასინგიდან“ მიდის, თუმც კარიერას რომელ კლუბში გააგრძელებს, ჯერ უცნობია. მას „უნიკსი“ და „ვილერბანი“ ეპატიჟებიან. ასევე „სიეტლს“ სურს, რომ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად აიყვანოს.

კალათბურთი შინ და გარეთ
სტრიტბოლის ასოციაცია საქმეს შეუდგა

დღეს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდები შეიკრიბებიან და ორდღიანი სტრიტბოლის ფესტივალიც გახურდება. სხვადასხვა უბნის თუ ორგანიზაციის 16 გუნდი სახელდახელოდ მოწყობილ კოპწია მოედანზე საუკეთესოს გამოსავლენად შეიბმება და 21 მაისის საღამოს რომელიღაც მათგანი გაიხარებს.

აქამდეც იმართებოდა ანალოგიური ტურნირი, ოღონდ ორგანიზატორი ჰყავდა სხვა. თუ ადრე სასტრიტბოლე ტურნირების სულის ჩამდგომელი YMCA (ქრისტიან სტუდენტთა ახალგაზრდული კავშირი) იყო, ახლა ამ საქმეს სათავეში ახლადშექმნილი სტრიტბოლის ასოციაცია ჩაუდგა.

ეს ასოციაცია 7 მარტს დაფუძნდა და მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას. ჯერჯერობით ეს ორგანიზაციები იურიდიულად არ თანამშრომლობენ, თუმც ფედერაცია სტრიტბოლის ასოციაციას ტურნირების მოწყობაში ტექნიკურ დახმარებას უწევს.

როგორც სტრიტბოლის ასოციაციის პრეზიდენტმა, თელავის „ბურჯის“ ყოფილმა კალათბურთელმა გიორგი ზაბახიძემ თქვა, მომავალში არაერთი ტურნირის გამართვა იგეგმება, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ჩემპიონატი იქნება. მასში როგორც თბილისის, ასევე რეგიონების გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

ასევე იგეგმება უნივერსიადის გამართვა, რომელშიც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების გუნდები ითამაშებენ. ასოციაციას უფრო შორეული გეგმებიც აქვს, მაგალითად საერთაშორისო ტურნირის ორგანიზება თბილისში.

კარგ და ჯანსაღ საქმეს შესჭიდებიან ახალგაზრდები და კარგი იქნება, თუ განზრახულს სისრულეში მოიყვანენ.

ირაკლი პერტაია

2006 NBA Playoffs

ლოს ანჯელესი დაძალებით

ფინიქსელები ანგელოზთა ქალაქს ვერ გასცდნენ





AFP ლოს ანჯელესიდან

სემ კასელისა და სტივ ნეშის დუელი მეშვიდე მატჩში გაგრძელდება

18 მაისი

მეორე წრე

დასავლეთი

ფინიქსი 3:3 ულიპერსი

კლიპერსი 118:106 ფინიქსი

კლიპერსი: კასელი (15 ქულა, 8 პასი), მობლი (9), როსი (18), ბრენდი (30 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), კამანი (15 ქულა, 10 მოხსნა); მაგეტი (25), ლივინგსტონი (4), რადმანოვიჩი (2)

ფინიქსი: ნეში (17 ქულა, 11 მოხსნა), ბელი (13), ტ ტომასი (3), მერიონი (34 ქულა, 9 მოხსნა, 6 ჩაჭრა), დიაუ (14 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი); ბარბოსა (25), ჯონსი

ცხრატიშვილი საათადარიგო იყო

მთლად „სან ანტონიო" — „დალასივით" ვერა, მაგრამ ეს სერია მაინც გვარიანად დაძაბული გამოვიდა. „ფინიქსმა" მოიგო პირველი, მესამე და მეხუთე თამაშები, „კლიპერსმა" შესაბამისად — მეორე, მეოთხე და მეექვსე, ესე იგი, ლოსანჯელესელები სამჯერ ჩამორჩნენ ფავორიტ ფინიქსელებს, მაგრამ სამჯერვე გათანაბრეს და საქმე მეშვიდე ჯახამდე მივიდა.

ფავორიტობა იქით იყოს, ამ მეშვიდე მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამას კი ყველა ხედავს, „ფინიქსს" ამ ლოსანჯელესური გუნდების „გახედვაში" არაქათი გამოეცალა. პირველ წრეში „ლეიკერსთანაც" შვიდი ბრძოლა გადახდა — ამასთან სერიას 1:3 აგებდა — და ახლაც, აგერ, სადამდე მივიდა საქმე. ამასთან, „ფინიქმა" 26 აპრილიდან 19 მაისამდე, ანუ 24 დღეში 12 საპლეიოფო ბრძოლა მოილია და გვარიანადაც გადაილალა, მით უფრო, რომ არცთუ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს. ახლაც მათმა თავკაცმა მაიკ დანტონიმ მხოლოდ 7 კალათბურთელი ათამაშა.

თავის მხრივ, არც „კლიპერსის" წამყვან მოთამაშეებს უმაგრებენ ზურგს ყოჩაღი რეზერვისტები. დანტონის ოპონენტმა მაიკ დანლივიმ ახლა მხოლოდ რვა მოთამაშით გარისკა მეტოქესთან თამაში. დანლივი ამბობს — ჩვენი ლიდერი სემ კასელი 58 წლისაა, მეშინია, ხელში არ ჩაგვაკვდესო.

რეალურად კი კასელი 36 წლისა გახლავთ, ნბა-ში მე-13 სეზონს ატარებს და თითქმის ყოველ მათგანს საკმაოდ წარმატებული პლეი ოფით ასრულებს. პლეი ოფში ნათამაშები მატჩების მიხედვით მან სწორედ „ფინიქსთან" ერთ-ერთ შეხვედრაში გადაასწრო სკოტი პიპენს და ახლა მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარს ჩამორჩება.

„შემოდგომიდან მოყოლებული ჩვენ უკვე ათჯერ შევხვდით და ერთმანეთისა ყველაფერი ვიცით — ამბობს კასელი — მნიშვნელობა არ აქვს, ამ ბოლო მატჩს შინ ჩავატარებთ თუ გარეთ. ფინიქსშიც გადასარევათ ვთამაშობთ."

კოტე ყორჩია



AFP რომიდან

დინარა საფინამ კარიერაში პირველად მოუგო კიმ კლაისტერს

დინარამ კლაისტერსს გასალები მოარგო

მასტერსი კაცები. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 2 450 000 $

მესამე წრე

დავიდ ფერერი (16, ესპანეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:2 6:4; **ტომი რობრედო** (8, ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 6:3 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (13, ფინეთი) 6:1 6:3; **მარიო ანჩიჩი** (12, ხორვატია) — ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) — 4:6 7:5 7:6; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ფერნანდო გონსალესი (7, ჩილე) 3:6 6:2 6:3; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 7:5 6:4; **მაძს მირნი** (ბელორუსია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:3 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (15, ჩეხეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3 6:2

ქალები რომი. იტალია თიხნარი

საპრიზო 1 340 000 $ მეორე წრე

მესამე წრე

ფლავია პენეტა (15, იტალია) — ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპანეთი) 6:3 3:6 6:4; **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — ფრანჩესკა სკიავონე (11, იტალია) 6:0 7:5; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:6 6:1; **ვინუს უილიამსი** (9, აშშ) — პატი შნიდერი (6, შვეიცარია) 7:6 3:6 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (7, რუსეთი) — ანასტასია მისკინა (10, რუსეთი) — 6:1 6:4; **რომინა ოპრანდი** (იტალია) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 6:0 6:1; **ელენა დემენტიევა** (5, რუსეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (11, გერმანია) 7:6 3:6 6:1; **დინარა საფინა** (16, რუსეთი) — კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) 6:4 7:6

იმდენი ვიძახეთ, რომში მოულოდნელი ჯერ არაფერი მომხდარაო, რომ მესამე წრეში ერთბაშად რამდენიმე სენსაცია გამოცხვა.

როგორც ჩანს, კიმ კლაისტერსი ბოლომდე მაინც ვერ შეეჩვია რომაულ მიწას. აბა, სხვას რას შეიძლება მივაწეროთ მისი უსუსური თამაში დინარა საფინასთან. ბელგიელისგან განსხვავებით, რუსმა ძალიან კარგი და გამართული თამაში აჩვენა და წლეულს უკვე მეშვიდე ტურნირზე უწია მეოთხედფინალს.

„კიმი ხშირად ცდებოდა და მეც ვიფიქრე, „თუ ეს შანსი არ გამოიყენე და ახლაც ვერ მოუგე, ამის მომგები შენ არასდროს იქნები-მეთქი". კარგია, რომ ჩემი შანსი გამოვიყენე — ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ჩემთვის" — ხარობდა საფინა, რომელმაც პირველად მოუგო კლაისტერსს.

სასიამოვნოდ აოცებს ადგილობრივ მაყურებლებს კვალიფიკაციიდან მოხვედრილი რომინა ოპრანდი. ამ ჩოგბურთელის შესახებ აქამდე, ალბათ, მხოლოდ იტალიელ სპეციალისტებს თუ სმენოდათ, მაგრამ რომში ოპრანდი ყველასთვის სიურპრიზად იქცა — მისი მორიგი მსხვერპლი კი ვერა ზვონარიოვა შეიქნა.

აგრძელებენ წინსვლას მარტინა ჰინგისი და ვინუს უილიამსი. შვეიცარიელმა იტალიელთა მთავარ იმედ ფრანჩესკა სკიავონეს გადაურბინა. აი, უფროსი უილიამსისგან კი ნამდვილად არავინ ელოდა წარმატებას — მას ხომ ჰინგისის თანამემამულე და პირველ ათეულში მყარად დამკვიდრებულ პატი შნიდერთან უნდა ეთამაშა — თუმც ახლად ფორმააღდგენილი ამერიკელი გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა.

მეოთხედფინალში კიდევ ორი რუსი — ელენა დემენტიევა და სვეტლანა კუზნეცოვა ითამაშებს.

თუ რომში რუსები ხარობენ, ჰამბურგში ესპანელებმა გაიღალეს. თიხნარის უმთავრესი სპეციალისტები ბოლო რეპეტიციას გადიან „როლან გაროსის" წინ.

პირინეელთა წარმატებებს შორის ყველაზე მოულოდნელი ფერნანდო ვერდასკოს მოგება აღმოჩნდა. ესპანელი ხომ ჰამბურგში გამარჯვების უმთავრეს ბენეფიციენტ ფერნანდო გონსალესს ხვდებოდა. თუმც როდის იყო, რომ ეს ჩილელი სტაბილური ყოფილიყო — ამჯერადაც პირველი სეტის მოგების შემდეგ საქმე მომთავრებულად ჩათვალა და სანამ ისევ მოახერხა კონცენტრირება, მატჩი უკვე წაგებული ჰქონდა.

სხვა ესპანელთაგან კი ტომი რობრედო და დავიდ ფერერი გამოირჩნენ — პირველმა პოლ-ანრი მატიოს მოუგო, მეორე კი ესპანურ დერბიში გაუსწორდა ხუან-კარლოს ფერეროს.

დღის ყველაზე დაძაბული და ლამაზი მატჩი კი მარიო ანჩიჩსა და ჯეიმს ბლეიკს შორის გაიმართა, რომელშიც უფრო მყარი ნერვები ხორვატს აღმოაჩნდა და მეოთხედფინალშიც ის ითამაშებს.

ბლეიკი კი სწორედ იმ კომპონენტმა დააღალატა, რომლითაც ასე იყო აღფროთოვანებული წინა თამაშის მოგების შემდეგ — ამერიკელმა დიდწილად მიღებაზე ცუდი თამაშის გამო წააგო ეს მატჩი.

კახა ლომაშვილი

ჭადრაკი

ბულგარელის მოგებამ ამერიკელი ახეირა

M-tel მასტერსის ტურნირი

9-21 მაისი. სოფია. ბულგარეთი

VII ტური

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	0:1	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	
ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	0,5:0,5	გატა კამსკი (აშშ)	
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	1:0	პეტრ სვიდლერი (რუსეთი)	

ამერიკელმა დიდოსტატმა გატა კამსკიმ ნახევარი ქულა შემატა თავის ნადავლს და მდევარს მთელი ქულით გადაუსწრო. მისმა მთავარმა მეტოქემ ვიშვანათან ანანდმა კი თეორი ფიგურებით დათმო შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონ ვესელინ ტოპალოვთან და საქმე გაიუარესა.

ფიდეს რეიტინგის პირველი და მეორე ნომრების შეხვედრა ტურში ყველაზე საინტერესო იყო, თანაც მათი პირველი მატჩი ანანდს შავებით მოეგო და ბულგარელებიც რევანშის მოლოდინში იყვნენ.

მეტოქეებმა აქტიურად დაიწყეს შეხვედრა, მეოთხე სვლაზე თითო პაიკი გაცვალეს და იერიშებს შეუდგნენ. ტოპალოვმა ლაზიერის ფლანგიდან შეუტია ინდოელს, თუმც ვერაფერს გახდა და საპასუხო დარტყმა ხელმწიფის ფლანგიდან მიიღო. იერიში ანანდსაც არ გამოუვიდა, ბულგარელმა კი მთელი ძალები თეორ მეფეზე მიმართა. ტოპალოვმა წარმატებით განავითარა შეტევა, ანანდის ხელმწიფეს დაცვის კედელი მიუნგრია და 36-ე სვლაზე პაიკით მოიგო. ტოპალოვმა უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა, მეტოქე კიდევ უფრო შეავიწროვა და 61-ე სვლაზე ძვირფასი გამარჯვება მოიპოვა.

ტურნირზე პირველი მოგება იზეიმა ფიდეს ექსჩემპიონმა რუსლან პონომარიოვმა. მან რუსეთის მრავალგზის ჩემპიონ პეტერ სვიდლერს მოუგო და 2,5 ქულა დაავროვა, თუმცა ბოლო ადგილს თავი ვერ დააღწია.

ლაშა გეგეჭკორი

1. გატა კამსკი	5 ქულა
2. ვიშვანათან ანანდი	4,0
3. ვესელინ ტოპალოვი	3,5
4. პეტრ სვიდლერი	3,5
5. ეტიენ ბაკრო	2,5
6. რუსლან პონომარიოვი	2,5

ავტორბოლა

ABRAMOVICH აბრამოვიჩის საფორმულო რომანი

სათვალავი აირია, უკვე იმდენჯერ გავრცელდა ცრუ ინფორმაცია რუსეთში საპირველფორმულო ავტოდრომის მშენებლობის შესახებ.

ლაპარაკი 2001 წელს დაიწყო, როცა მოსკოვში, ნაგატინოს რაიონში გამოინახა შესაფერი სატრასო ადგილი, ინგლისელმა სპეციალისტებმა ნიადაგის სინჯიც აიღეს საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად. მეტიც, მოსკოვს თვით „საშეჯო რბოლების" გამგებელი ბერნი ეკლსტოუნი ეწვია და ამდენად, 2005 წელს რუსეთში ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარებაც გაჩარხული ჩანდა, მაგრამ მოლაპარაკება სამარცხვინოდ ჩაიშალა, რადგან მხარეები შეთანხმებულ ფასზე ვერ მორიგდნენ.

ერთი სიტყვით, პროექტი უიმედო ჩანდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სლავებს სურვილი სულაც არ განელებიათ და ახალი კამპანია წამოიწყეს, თანაც უმაღლეს საფულო დონეზე — საფორმულო გეგმაში მილიარდელი თანამემამულე რომან აბრამოვიჩი ჩართეს.

მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის საგანგებო ბრძანებით, სამი წლის წინათ დედაქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, მოლჟანინოვოს რაიონში სუპერავტოდრომის ასაგებად ადგილი გამოიყო და, ახლა ამ საქმეს შესაძლოა წარუძღვეს კომპანია, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ახლოსაა აბრამოვიჩთან. რუსული მასმედია გახარებულია, რადგან ყველამ იცის, რომ აბრამოვიჩი უდიდესი ფინანსების პატრონი და, რაც მთავარია, სიტყვის კაცია.

გია ახალაძე

პინგვინები ჯუმბერს ელიან

ქართულ-უკრაინული ტანდემი სამხრეთ პოლუსს უმიზნებს

ბადრი კეთილაძის ფოტო

არა და არ ისვენებს თბილისელი ჯუმბერ ლეჟავა. ნაირგვარ ნომინაციაში გინესის რეკორდების წიგნში რომ მოხვდა, მერე მარტოდმარტომ დაადო თავი და ველოსიპედით გარსაქვეყნო მოგზაურობაში წავიდა. ცხრაწლიანი ათასი ხიფათისა და ფათერაკების მერე ველოსიპედით 264 000 კილომეტრი გაიარა, ერთი ამდენიც საზღვაო და საჰაერო გზებზე დაფარა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია და, თანაც გზადაგზა კიდევ ნაირგვარ რეკორდებს ამყარებდა.

ამ მოგზაურობისას ჯუმბერ ლეჟავამ 237 ქვეყანა მოიარა, რაც ასევე გინესის რეკორდია. ისიც საინტერესოა, რომ მოგზაურობის დასაწყისში მხოლოდ 200-მდე სახელმწიფო არსებობდა. რუსთავში დაწყებული მაშინდელი ოდისეა სარფიდან გასვლით რომ გაგრძელდა, 9 წლის მერე საქართველოში სომხეთიდან შემოსვლით დასრულდა, მაგრამ პედლების ტრიალს არც ამის მერე შეეშვა და სხვა პატარ-პატარა მოგზაურობები განხორციელა. პატარ-პატარაო, რომ ვამბობთ, ეს ჯუმბერ ლეჟავას გაქანების კაცისთვისაა, თორემ სხვებისთვის ასობით. და ათასობით კილომეტრის ველოსიპედით მარტოდმარტო დაფარვა წარმოუდგენელია. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ველოსიპედით კი არა, ფეხითაც მოგზაურობდა და გასაბერი ნავით ბობოქარ მდინარეებზეც ეშვებოდა.

ახლა 67 წლის ჯუმბერ ლეჟავას ველოსიპედით სამხრეთ პოლუსზე მიღწევა განუზრახავს. ოღონდაც, ამ საქმეში იგი ამჯერად მარტო არ იქნება და პინგვინებთან სტუმრობას 64 წლის უკრაინელ ლეონიდ მიკულასთან ერთად აპირებს. ეს ამბავი გუშინ თბილისში, მოსწავლეთა სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, სადაც ჯუმბერ ლეჟავა ლეონიდთან ერთად მობრძანდა. დღეს ისინი უკრაინაში გაფრინდებიან, ნოემბრიდან კი...

ჯუმბერი და ლეონიდი ორი წლის ნაცნობები არიან. ამ უკრაინელმა საგანგებოდ ამ მოგზაურობისთვის სპეციალური ორადგილიანი და ოთხბორბლიანი ველომობილი შექმნა, რომელსაც კარგა ხნის განმავლობაში ცდიდნენ და ცდიდნენ, თუმცა, სერიოზული გამოცდა იქ, ყინულოვან კონტინენტზე მოუწევთ.

სხვათა შორის, ჯუმბერ ლეჟავა იმ დიდი ოდისეისას ანტარქტიდაზეც იყო, სადც კოლექციისთვის გაისეირნა და ამ საპოლუსო ველოგადარბენისთვის საკმაო გამოცდილება მიიღო. ახალი, 1 500-კილომეტრიანი ყინულოვანი ოდისეა დაახლოებით 65 დღეს გასტანს, უფრო დაწვრილებით კი „სარბიელის“ უახლოეს ნომერში გიამბობთ.

ავთანდილ ბაკურიძე

ტანვარჯიშის ფრონტზე ყველაფერი უცვლელადაა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ფიქრია ფანქველაშვილი

მესამე წელია, ქართული ტანვარჯიში ორ ნაწილადაა გახლეჩილი. ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციას მხატვრულად ტანმოვარჯიშეები გამოეყენენ და ცალკე ფედერაცია დააფუძნეს. მას შემდეგ დაპირისპირება მუდმივად გრძელდება და მხარეები დროგამოშვებით ერთმანეთის მამხილებელ პრესკონფერენციებს მართავენ. გუშინ ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციაში მიგვიწვიეს.

პრესკონფერენციამ ფედერაციის პრეზიდენტ რუსუდან სიხარულიძის გარეშე ჩაიარა. ჟურნალისტებს ვიცე-პრეზიდენტი *ფიქრია ფანქველაშვილი* ესაუბრა, რომელსაც გვერდს მწვრთნელები უმშვენებდნენ.

„მხატვრულ ტანვარჯიშში განხეთქილებაა, რაც ნელი სალაძის მიერ მეორე ფედერაციის ჩამოყალიბებამ გამოიწვია — გვითხრა ფანქველაშვილმა — საერთაშორისო ფედერაცია მათ არ აღიარებს და ამით სალაძის მხარეს მოვარჯიშე ბავშვები იჩაგრებიან — დიდ ტურნირებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. უკვე რამდენი ხანია, თვითნებურად ცდილობენ საერთაშორისო ფედერაციისგან თანხმობის მიღებას, მაგრამ ამაოდ. ბავშვების მშობლებს კი დაპირებებით ატყუებენ.

... შარშან ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ ვთხოვეთ, ტანმოვარჯიშეები გამოეშვათ, მაგრამ სასტიკი უარი მივიღეთ. წლეულს ევროპას მოსკოვი მასპინძლობს სექტემბერში და იქ ჩვენ ახალგაზრდული გუნდით გამოვალთ. ძალიან პერსპექტიული სპორტსმენები გვყავს, რაც სალაძის გუნდშიც კარგად იციან და ხშირად ცდილობენ, ტურნირების წინ როგორმე ხელი შეგვიშალონ.

– კულუარებიდან გამოდის ხმები, რომ ნელი სალაძის უკან რამდენიმე მაღალჩინოსანი დგას. გვარების გამხელისგან ამჯერად თავს შევიკავებ, მხოლოდ იმის გამო, რომ შესაძლოა, ყველაფერი თავად მოწინააღმდეგე მხარის მოგონილი იყოს. ხოლო თუ სიმართლეა, მაშინ გეტყვით, რომ ჩვენს მხარეს კანონია. მივმართავ სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, დაგვეხმარონ, დაიცვათ საქართველოს კანონი სპორტის შესახებ.

... ნელი სალაძეს ჩვენთან დაბრუნების შემთხვევაში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობა სურს. ეს თანამდებობა არჩევითია. მე არჩევნებზე დამიჭირეს მხარი. თუ უნდოდა, მაშინ მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ასე იმიტომ არ მოიქცა, რომ იცოდა, მიზანს ვერ მიაღწევდა.“

ფანქველაშვილის გვერდით მსხდომმა მწვრთნელებმა კი აღნიშნეს, რომ ფინანსური შეჭირვების მიუხედავად, ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია მშვენივრად მუშაობს.

ოთარ მაღლაკელიძე

ჯირო დიტალია 2006. 6-28 მაისი

ულრიხი ერთ კურდღელს მისდევს

მე-11 იტალიელ ვერ შეცვალა ჯირო დიტალიის ლიდერის ვარდისფერი მაისურის მფლობელი. ტოსკანას წარმტაც მხარეში, დაბა პონტედერადან ისევ პონტედერამდე, ულამაზესი პიზას გავლით 50-კილომეტრიან წრეზე გამართული ინდივიდუალური რბოლა გერმანელმა იან ულრიხმა მოიგო, საერთო ჩათვლის ლიდერი ივან ბასო მხოლოდ მას ჩამორჩა და იოლადაც შეინარჩუნა ეს მაისურა. პირიქით, მთავარ კონკურენტებთან კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა. ბასომ წუთზე მეტი მოუგო უახლოეს მდევარ ხოსე გუტიერესს, მასთან სხვაობა თითქმის 3 წუთამდე გაზარდა და საერთოდ მოფარა ჰორიზონტს სხვა მდევრები, ჯიროს ყოფილი ჩემპიონები — საგოლდელი, კუნეგო და სიმონი. რაც შეეხება ეტაპის მომგებ ულრიხს, გერმანელი არც მალავს, რომ ჯიროზე მხოლოდ გასახურებლად და ფეხების გასავარჯიშებლად მონაწილეობს და იტალიაში გამარჯვებაზე არც კი ფიქრობს წინ ხომ ტურ დე ფრანსია. „ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი დღევანდელი რბოლით — ამბობს ულრიხი — მგონი, ბასოს დუბლის შესრულება უნდა. მას სურს, ჯიროცა და ტურიც ერთ წელს მოიგოს. მე ჩემდათავად ტურიც მეყოფა.“

მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. რიგა

რიგაში რუსებს დაადუმეს

მეოთხედფინალი

ჩეხეთი 4:3 რუსეთი

0:1 ოვეჩკინი (3), 1:1 კაბერლე (26), 2:1 ჰლინკა (44), 2:2 მოზაიკინი (46), 3:2 შტეფანი (48), 3:3 მიხნოვი (59), 4:3 ირგლი (68)

ოდესღაც დიადი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე გუნდი 1993 წლის შემდეგ ვერ ახერხებს ჩემპიონობის მოპოვებას და, უმეტეს წილად, მისთვის გადაულახავი სწორედ მეოთხედფინალი ხდება. უნდა ითქვას, რომ ამჯერად რუსებმა შესანიშნავად ჩაატარეს თამაში მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს ფორტუნამ, როგორც ეს უკვე არაერთხელ იყო, ზურგი აქცია მათ. ჩეხი ფორვარდის პატრიკ შტეფანის არ იყოს, ეს უდიდესი მატჩი გახლდათ. ჩეხების უმაღლეს ორგანიზაციას და დაცვაში თავგანწირვას რუსებმა შემტევი თამაში და ორი ნორჩი ლიდერის, ალექსანდრ ოვეჩკინისა და ევგენი მალკინის უზადო ინდივიდუალური ოსტატობა დაუპირისპირეს. უკვე მე-4 წუთზე ოვეჩკინმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი და პირველ მესამედში რუსებს კიდევ უამრავი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მეტი ვერ გაიტანეს და მეტოქეს იმედი ჩაუსახეს. ამის შემდეგ წინ მხოლოდ ჩეხები გადიოდნენ, ხოლო რუსები ათანაბრებდნენ. ბოლოს მათ ეს ძირითადი დროის მიწურულს მოახერხეს, მეკარის მეექვსე მოთამაშეზე შეცვლის შემდეგ. ოვერტაიმის გმირი კი მაინც ჩეხი გახდა. ზბინეკ ირგლმა ჩინებული ცრუმოძრაობით მოატყუა მეტოქის მეკარე მაქსიმ სოკოლოვი და დაადუმა უამრავი რუსი ფანი.

ფინეთი 3:0 ბელორუსია

1:0 ჰალი (10), 2:0 პელტონენი (44), 3:0 ო. იოკინენი (55)

2002 წლის შემდეგ ფინეთმა პირველად გააღწია საუკეთესო ოთხეულში. საამისოდ „სუომის“ გუნდს სუსტ მეტოქესთან, ბელარუსთან მოუხდა შეხვედრა, თუმც ის თამაში, რომელიც „ლუკაშენკოს“ ბიჭებმა ამ ტურნირზე აჩვენეს, სულაც არ გვაძლევს იმის საბაბს, რომ მათ სუსტები ვუწოდოთ. მართალია, „სუომიმ“ უკვე მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ მომდევნო გოლს ქომაგები კიდევ დიდხანს ელოდნენ და მხოლოდ მესამე პერიოდში გატეხეს ფინელებმა მეტოქის წინააღმდეგობა. „ვამაყობ ჩემი ბიჭებით. მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ,„ — თქვა ნამატჩევს ბელარუსიის ამერიკელმა თავკაცმა გლენ ჰენლიმმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამიწა, დიასაც, ტრიალებს

სკოლარი, ფიგუ, რონალდუ, SAGRES-ის მაისურას რომ იწევს და მთლიანად პორტუგალიის ნაკრები უკვე გერმანიაშია და იქ ემზადება მუნდიალისთვის. ხოლო ვინც იქ ისედაც უნდა იყოს — ბუნდესნაკრების მწვრთნელი იურგენ კლინსმანი — იტალიაში მიირთმევს ყავას. სვენ გორან ერიკსონი და ინგლისი კი იქ არის, საიდანაც ფიგუ და კომპანია აიბარგნენ — პორტუგალიაში. და ვინ არის ჯერჯერობით სამშობლოში? ოზი ტიმ ჩეპლი. კიდევ ეს მოჭრილი ბალახი, რომელსაც გელზენკირხენის „აუფ შალკეზე“ დააგებენ.





სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბარო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბერეკლია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge